# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№2 (9834) 2025 წლის 9 იანვარი, ხუთშაბათი.

ფასი 1 ლარი


# SOS!

ან ამერიკა გაანადგურებს „დიფ სთეითს“,
ან „დიფ სთეითი“ გაანადგურებს ამერიკას.

დონალდ ტრამპი



## პრეზიდენტ ტრამპს თითოეულმა ქართველმა უნდა შევუწყოთ ხელი „დიფ სთეითის“ განადგურებაში!

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო — ვიმედოვნებთ, 2030 წლამდე ევროკავშირი დაძლევს არაფორმალური ოლიგარქიული გავლენისა და „დიფ სთეითის“ პრობლემას, რაც შექმნის პირობებს საქართველოს გასაწევრიანებლად

**„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, რამდენიმე სახელმწიფომ დააწესა ფინანსური სანქციები და სავიზო შეზღუდვები ქართველი ხალხის მიერ არჩეული პოლიტიკოსებისა და ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირების მიმართ. აღნიშნული გადაწყვეტილებები კიდევ ერთხელ უნდა შეფასდეს, როგორც ანტიქართული ნაბიჯი, რომელიც ძირს უთხრის ქართველი საზოგადოების ნდობას დასავლური ინსტიტუტების მიმართ.**

უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო ღრმად აქვს ფესვები გადგმული გლობალურ ომის პარტიას სხვადასხვა ქვეყანაში და რაც უფრო ძლიერია ამა თუ იმ ქვეყანაში „დიფ სთეითის“ მეტასტაზები, რომელიც გლობალური ომის პარტიის არაფორმალური გავლენის მთავარ ინსტრუმენტად გვევლინება, მით უფრო ანტიქართულია შესაბამისი ქვეყნის დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის მიმართ.

უკლებლივ ყველა კონკრეტული პოლიტიკოსი და ბიუროკრატი, რომელიც ანტიქართული განცხადებებით გამოირჩევა, იქნება ეს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტარი, ევროპარლამენტარი, დიპლომატი თუ ჩინოვნიკი, არის „დიფ სთეითის“ ქსელის წევრი, რომელიც არა ამერიკელი ან ევროპელი ხალხის ინტერესების მიხედვით, არამედ გლობალური ომის პარტიის კარნახით მოქმედებს.

იხ. მე-4 გვ.

ნაპო მესხია

## სიმართლე აფხაზეთზე, ანუ იმაზე, თუ როგორ გასხვისდა იგი

6-7

პატრიარქის ეპისტოლე

## როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი!



2

ირაკლი კობახიძე:

## ლიბერალური ფაშიზმი ერთად უნდა დავამარცხოთ!

3




## ფეისბუქი-2024, რჩეული პოსტები




8-9

დავით ქართველიშვილი:

## ყველაფერი გააფუჭა ზელენსკის ინტერვიუმ...



5

## ჯერ კიდევ ჩვილობის ასაკში ვლინდება მაღალი ინტელექტი



11



## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის საშობაო ეპისტოლე

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთ, მკვიდრთ ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:

„სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისაგან“ (რომაელთა 8,2)

ქრისტესმიერ საყვარელნო დანო და ძმანო, ქრისტე იშვა!

ჭეშმარიტად იშვა სიტყვა ღვთისა, — უფალი ჩვენი იესო ქრისტე, — „ვის მიერადაც ყოველი შეიქმნა, და არაფერი შექმნილა მის გარეშე, რაც კი შექმნილა!“ (იოანე 1.3) „გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს ყოველი ერი, რამეთუ დღეს დავითის ქალაქში დაიბადა მაცხოვარი“ (ლუკა II, 10-11).

ყველა პრობლემას უკვე ჩვენ ამ სიხარულით ვფარავთ, ამით ვძლევთ ჩვენს სისუსტეებსა და განსაცდელს, ამით ვძლევთ უსამართლობას, მწუხარებასა და ტკივილს.

მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე მნიშვნელოვანი და დიადი, როცა თვით ღმერთი შემოდის ჩვენს ცხოვრებასა და ისტორიაში, რათა ჩვენი არსებობის მთავარი მიზნის განხორციელებაში დაგვეხმაროს.

მაგრამ როგორ შევხვდებით მას, ვითარცა მენი და ასულნი ღვთისანი, ვითარცა თვისნი მისნი თუ როგორც მხოლოდ შორეულნი, უცხონი ან თითქმის მისგან განდგომილნი?

* * *

ჩვენ უფლის განგებულების განსაკუთრებული გამოვლინებანი ვართ.

გასაოცარია ყველაფერი, რაც ჩვენს პირველმშობლებამდე შეიქმნა, — უმცირესი ნაწილაკები იქნება ეს, მცენარეები, ფრინველები, ცხოველები, ზღვის ბინადარნი თუ ციური სხეულები ისინი დიდი მრავალფეროვნებით, დიდი უნარებით, დიდი თავისებურებებით გამოირჩევიან, მაგრამ მათი მოქმედებები და შესაძლებლობები იყო და არის შეზღუდული.

მხოლოდ ადამიანი მოიცავს ფიზიკურსა და სულიერს, მიკრო და მაკროსამყაროს და მალუძს შეიყვაროს იგი, როგორც თავისი ნაწილი ამქვეყნადაც და მარადისობაშიც.

**მხოლოდ ადამიანია ღვთის ხატებად და მსგავსებად შექმნილი, გონიერი, მეტყველი, სიკეთით, თავისუფალი ნებითა და ღვთაებრივი სიყვარულის უნარით დაჯილდოებული არსება; მოწოდებული, შეიცნოს ჭეშმარიტება და ემსახუროს მას.**

ღმერთმა იგი იმიტომ დაჰბადა, რომ თავის მარადიულ სიკეთეთა თანაზიარად გაეხადა და ის ნეტარებები განეცადა, რაც უფალს აქვს. ადამიანი ხილული სამყაროს მეფე უნდა ყოფილიყო და, ღმერთს მიმსგავსებულს, სიბრძნითა და სიყვარულით განეგო იგი.

ჩვენს პირველმშობლებს მთელი თავისი ნებელობა უფლისკენ ჰქონდათ მიმართული და სრულად ღვთისას იზრახავდნენ. ამასთან, მათი სული სულ უფრო მეტად განიმტკიცებდა საღვთო ბუნების თვისებებს — სათნოებებს და ხარობდა ამით.

როგორც ცნობილია, შემდგომ ბოროტმა მალამ მოატყუა ისინი, როცა უთხრა: შემოქმედი იმიტომ გიკრძალავთ ხეცნობადისას ნაყოფის ჭამას, რომ მისებრ ღმერთი არ გახდეთო.

სინამდვილეში კი ჩვენი განღმრთობა სწორედ უფლის ჩანაფიქრი იყო, მაგრამ ამისთვის ადამი და ევა თანდათან უნდა მომზადებულიყვნენ და უფლის მორჩილებით ასულიყვნენ სრულყოფის კიბეზე. ისინი კი, ჯერ კიდევ სულიერად მოუმწიფებელნი, შეეცადნენ, გატოლებოდნენ მას, ვინც დაჰბადა ისინი და ყველაფერი უშურველად მისცა; თანაც ამის მიღწევა მათ ღმერთისგან განდგომით მოინდომეს და მისი ნების წინააღმდეგ წავიდნენ. ვერ დააფასეს უფლისგან ბოძებული, თვით ანგელოზებზე აღმატებული პატივი, უხილავი ღმერთის თანაშემწეობაზე უარი თქვეს და მოინდომეს ღმერთად გახდომა.

*ცოდვამ აამღვრია და დაასნებოვნა ადამის და ევას შინაგანი სამყარო, რასაც თავისთავად მოჰყვა შესაბამისი შედეგი: სიცოცხლის ნაცვლად მიიღეს სიკვდილი; ნეტარების ნაცვლად — ტანჯვა და მწუხარება, ძლიერების ნაცვლად — უძლურება და ერთბაშად დაკარგეს თვითმფლობელობაც და საღვთო ხელმწიფებაც; მათი მორჩილი სტიქიონებიც და ცოცხალი არსებებიც მტრად გაუხდნენ და მარტონი დარჩნენ გარემო სივრცის პირისპირ.*

*ეს უმძიმესი ცვლილება კი მოხდა იმიტომ, რომ მათი გული ღმერთს განეშორა და შემოქმედის ადგილი ეგოისტურმა „მე“-მ დაიკავა.*

**ამპარტავნება და ეგოიზმი არის უფლისგან განდგომილი ადამიანის მკვეთრი მახასიათებელი. დაცემის შემდეგ ჩვენს პირველმშობლებში თავდაპირველად სწორედ ეს მიდრეკილებები გაჩნდა და მათი პირადი ურთიერთობებიც მყისიერად დაამახინჯა — ერთმანეთზე და გარემოზე ზრუნვა, ღმერთზე მინდობა... საკუთარ თავზე მინდობამ და ეგოცენტრიზმმა შეცვალა.**

*ბოროტი მალისკან თავს მოხვეული ეს მანკიერება დღემდე ჩვენს მთავარ პრობლემას წარმოადგენს და ამიტომაც არის, რომ, როგორც ერთი ღვთისმეტყველი ამბობს, ჩვენს ცხოვრებაში სიტყვა „მე“ განსაკუთრებულად დომინირებს.*

ეგოისტის ბუნება ისეთია, რომ იგი შეჰხარის თავის თავს, მოსწონს თავის თავში არსებული ნიჭები, რასაც საკუთარ დამსახურებად მიიჩნევს და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ყველგან და ყოველთვის ცდილობს საკუთარი თავის წარმოჩენას, ღმერთი კი დავიწყებული ჰყავს, ან მექანიკურად ახსენებს მის სახელს.

*ჩვენ უნდა გავითავისოთ, რომ თუ რაიმე ნიჭი და უნარი გვაქვს, უფლის მიერაა ბოძებული, ჩვენია მხოლოდ პირადი ნება, რომელიც სწორად უნდა წარვმართოთ. ამასთან, ჩვენი მოწოდებაა, ვიყოთ მოყვასის მსახურნი უფლისკენ სვლაში. იესო ქრისტეც მსახურებისთვის მოვიდა ამქვეყნად და ჩვენც ეს მისია დაგვაკისრა. ასე რომ, ნებისმიერი სხვა ადამიანისადმი ჩვენი ერთგულება, სიყვარული და თავდადება არის ჩვენი გადამრჩენელი, ღმერთამდე ჩვენი მიმყვანებელი.*

ამიტომაც, სხვა მცნებებთან ერთად, უნდა აღვასრულოთ ერთ-ერთი ყველაზე უპირატესი სწავლება უფლისა: „შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი“ და უმეტესი ამისა, ახალი მცნება ახალი აღთქმისა, რომელიც მაცხოვრისაგან ასეთი სახით მოგვეცა: „ახალ მცნებას გამლევთ თქვენ... როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი“ (იოანე 13.34).

მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენი პირადი უდიდესი სასწაულის აღსრულებას, — გულიდან ეგოიზმის გამევებას და მასში უფლის დავანებას, მხოლოდ ამ საშუალებით მოვიპოვებთ ზეცის მოქალაქეობას.

„მე ვარ კარი, ჩემს მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს“ (იოანე 10,9) — გვასწავლის იესო ქრისტე.

* * *

დაცემული ადამიანის თვისებაა სიკვდილის შიშიც. ამიტომაც ეძებდა და კვლავაც ეძებს იგი სიცოცხლის გახანგრძლივების გზებს, იგონებს სხვადასხვა მეთოდს, რომ შეიქმნას კეთილდღეობის ილუზია, მაგრამ ამაოდ.

## როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი!



ეს ყოველივე უფრო დიდი შეცდომების მიზეზი ხდება და აღრმავებს ჩვენში ისედაც არსებულ სულიერ კრიზისს.

ასეთი პიროვნება ვერ აცნობიერებს, რომ სიკვდილის შიში სინამდვილეში ცოდვებიდან მომდინარეობს, რომ ცოდვას დამონებული სული გაუცნობიერებლად უფრთხის ღმერთთან შეხვედრას და ამიტომაც ძრწის; მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მანკიერებებს განეშოროს და სული განიწმინდოს, ხშირად ნიჰილიზმში ვარდება და ათეიზმს აფარებს თავს (თუმცა ურწმუნოების მიზეზი სხვაც არაერთია).

**ასეთი ადამიანებისთვის ცხოვრება პერიოდია დაბადებიდან სიკვდილამდე და სიკვდილთან ერთად მათთვის მთავრდება ყველაფერი. ამიტომაც მიაჩნიათ, რომ გოროტება, სიკეთე, ფარისევლობა, ერთგულება, შური, სიყვარული, უზნეობა... ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობებია და რაიმე პასუხისმგებლობას არც კონკრეტული პიროვნების და არც ღვთის წინაშე არ გრძნობენ, რადგან არ სწამთ იმქვეყნიური ცხოვრების, არ სწამთ მარადიული ფასეულობების.**

* * *

დღეს ქრისტე იშვება დედამიწაზე, საოცარი თავმდაბლობითა და უბრალოებით, და მოაქვს სიცოცხლის ნათელი მათთვის, ვისაც სწამს, რომ ღვთის ხატადაა შექმნილი და ესწრაფვის ცხონებას.

ჩვენ ვსაუბრობთ იმ რწმენაზე, რომელიც, ადამიდან მოუღლებული, გადაეცემოდა თაობიდან თაობას პირველ მამათა, მამათმთავართა, წინასწარმეტყველთა, მართალთა მიერ და გვასწავლიდა, რომ არ ვართ შემთხვევითი არსებები, რომ არ ვართ სიკვდილისთვის გაჩენილნი, არამედ მარადიული ნეტარებისა და ღმერთთან მეოფობისათვის მოწოდებულნი.

უფალს ელოდა სიწმინდით, სიმართლით და სიყვარულით

მცხოვრები ჭეშმარიტი სიბრძნისა და სიმართლის მაძიებელი ყოველი ადამიანი. იგი იყო „მოლოდება წარმართთაც“ (დაბადება: 49. 10).

წარმართთა შორის ღრმად მოაზროვნენი გრძნობდნენ სულიერ შიმშილს, მათ არ აკმაყოფილებდათ ადამიანთა მიერ შეთხზული გადმოცემები სხვადასხვა „ღმერთზე“, გრძნობდნენ მათ სიყალბეს და ელოდნენ ჭეშმარიტს, ნამდვილსა და აღმატებულს.

**ასე იყო საქართველოშიც. ქრისტიანობის შემოსვლისთანავე ქართველთა უმრავლესობამ უარყო წარმართობა და სიხარულით მიიღება ზეციდან უწყებულ სახარებას. ეს იყო ქართველთა ცივილიზაციური მტკიცე არჩევანი, რომელიც ეროვნული ცნობიერების ნიშან-სვეტად იქცა.**

ქრისტე მოგვევლინა ჩვენი სხეულით, ჩვენი ბუნებით და გახდა ჩვენი ცხოვრების მტვირთველი (გარდა ცოდვისა); უჟამო იგი ჟამიერ იქმნა, უხორცო – ხორციელი, უკვდავი – მოკვდავი, რათა მსგავსებით მსგავსი გადაერჩინა და თითოეული ჩვენგანისათვის ეთქვა: მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი ხატება არ არის შენში ბოლომდე წარხოცილი; ჩემი შესაძლებლობები შენი შესაძლებლობებიცაა და შენთან ერთად მზად ვარ, მონაწილეობა მივიღო შენს ფერისცვალებაში, შენს გადარჩენაში.

მას ჩვენს რეალობაში შემოაქვს სამოთხის კანონები, – მცნებები, ზეცის მოქალაქეთა თვისებები, რათა გავაცნობიეროთ ცოდვა ჩვენს ყოფაში და სინანულით აღვხოცოთ იგი, ამით განვაქარვოთ ჩვენი სიკვდილი და გარდაცვალება მარადიული ნეტარმყოფობის საწყისად ვაქციოთ.

ჩვენ უნდა ვუკვირდებოდეთ ჩვენს სიტყვასა და საქმეს, სინდისის ხმას, საზოგადოებასთან თანაცხოვრებას, საღვთო წიგნებში განცხადებულ ღვთის სიბრძნეს და ბეთლემს შობილი მაცხოვრის მიერ დაარსებული ეკლესიისა და აქ აღსრულებულ საიდუმლოთა მადლით უფლის აღდგომისა და ამაღლების თანაზიარნი გავხდეთ.

* * *

„**ქრისტიანობა** რჩეულთა ხვედრია: თქვენ კი რჩეულთა მოდგმა ხართ, სამეუფო სამღვდელო, წმინდა ერი, წილხვედრი ხალხი, რათა გამოაცხადოთ მისი სათნოებანი, ვინც სიბნელიდან თვისი საკვირველი ნათლისკენ გიხმოთ“ (I პეტრე, 2,9).

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით, ღმერთმა შეგვინდოს შეცოდებანნი ჩვენნი და შეგვაძლებინოს, პეტრე მოციქულის ეს სიტყვები ჩვენს ერზე, თითოეულ თქვენგანზე და ჭეშმარიტების გზით მავალ ყველა ადამიანზე გაცხადდეს.

კურთხეულია უფლის შობის დიადი საიდუმლოს მხილველი და აღმქმელი თქვენი სულიერი თვალნი. კურთხეულია ბეთლემის სასწაულის სულიერად განმცდელი თქვენი გული.

კურთხეულია თქვენი სასმენელნი, რომელთაც დღესაც ახარებს ანგელოზთა საგალობლის ხმა:

**„დიდება მაღლთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.**

ამ დიდი მალისა და სიღრმის მქონე ზეციურმა სიტყვებმა, დაე, მოიცვას და ღმერთში გააერთიანოს სრულიად საქართველო, უცხოეთში მყოფი თანამემამულენი და ყოველი კეთილი ნების ადამიანი, რათა მოგვებთან და მწყემსებთან ერთად, გავემართოთ ბეთლემისაკენ, ანთებული სანთლებით მივეახლოთ ყრმა იესოს და კრძალვითა და სიხარულით აღმოვთქვათ: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ ღმერთი ჩემი ხარ შენ, და აღგამაღლო შენ; ღმერთი ჩემი ხარ შენ, აღგიარო შენ; აღგიარო შენ, რამეთუ ისმინე ჩემი და იქმენ ჩემდა მაცხოვარ“ (ფსალმუნნი 117,23,29).

**სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,**



**სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
თბილისი, შობა ქრისტესი
2024-2025წ.**

## ირაკლი კობახიძე:

# ლიბერალური ფაშიზმი ერთად უნდა დავამარცხოთ!




**შარშან, შობა დღეს, როდესაც ფსევდოლიბერალები 7 იანვარს მართლმადიდებლური წესით აღნიშნულ შობის დღესასწაულს დაესხნენ თავს, მე მათ ვუსურვე, ჭეშმარიტებას ზიარებოდნენ. მიხარია, რომ ჩემი ნატვრა, მართალია, ნაწილობრივ, მაგრამ მაინც ახდა.**

**ფსევდოლიბერალებს 7 იანვარს, შობის აღნიშვნის წინააღმდეგ, წელს სიტყვაც არ დასცდენიათ და დღესასწაულისთვის, შარშანდელისგან განსხვავებით, არც „რუსული შობა“ უწოდებიათ. მეტიც, 7 იანვარს მათ, ჭეშმარიტი მართლმადიდებლების მსგავსად, შობა რუსთაველის გამზირზე საჯაროდ გალობითაც კი აღნიშნეს.**

ლიბერალური ფაშიზმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, საზოგადოება ყველგან და ყველაფერში გახლეჩილი იყოს და მას არაფერი აერთიანებდეს. არ უნდა გვაერთიანებდეს არც მწუხარება და არც სიხარული, არც 8 აგვისტო და არც 7 იანვარი. ზუსტად ამ მიზნით ავალებდნენ გასულ წლებში ლიბერალებს, 7 იანვარს შობის აღნიშვნა კოორდინირებულად დაეგმოთ და დღესასწაულისთვის „რუსული შობა“ ეწოდებინათ. ბუნებრივია, დღესასწაულზე თავდასხმა მართლმადიდებელ ეკლესიაზე თავდასხმასაც ნიშნავდა და შესაბამისად, ეს ყველაფერი ეკლესიის იმიჯის დაზიანებასაც ისახავდა თანამდევ მიზნად.

თუმცა, წელს ფსევდოლიბერალებს განსხვავებული დავალება ჩამოუვიდათ, რადგან პოლიტიკურმა დღის წესრიგმა, ფსევდოლიბერალებისკენ ფართო საზოგადოების გულის მოსაბრუნებლად, მათი მოჩვენებითი „მოქცევა“ მოითხოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ფსევდოლიბერალების ეს ყალბი ფერისცვალება მთლიანად პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი და ამდენად, სრულიად ყალბი და მოჩვენებითია, ის მაინც საზოგადოების ჯანსაღი უმრავლესობის გამარჯვებად უნდა შეფასდეს. საზოგადოების ჯანსაღმა უმრავლესობამ წარმატებით დაიცვა შობის დღესასწაული ფსევდოლიბერალების თავდასხმისგან და საბოლოოდ, ისინი აიძულა, დღესასწაული თავადაც ეღიარებინათ.

ზუსტად ასევე, თუნდაც მოჩვენებითად და პოლიტიკური დღის წესრიგის კარნახით, ფსევდოლიბერალები უნდა ვაიძულოთ, საჯაროდ დაგმონ ლგბტ-პროპაგანდა და ე.წ. პრაიდი და მოიწონონ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ.

ფსევდოლიბერალებს 2025 წლის შობა დღესაც ვუსურვებ, ჭეშმარიტებას ეზიარონ, ოღონდ ახლა უკვე არა მოჩვენებითად და ფარისევლურად, არამედ მთელი გულით და შეგნებით!

საქართველოს მთავრობა თითოეული მათგანის მოქცევას სიყვარულით შეხვდება და უპასუხებს!

* * *

**თუ სადმე** ერევა რუსეთი, როდესაც მეზობელ ქვეყნებზეა საუბარი, ის ერევა უკრაინაში და ყველას ურჩევნია, მიხედოს უკრაინას, რომელიც გაწირეს განადგურებისთვის, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებებთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

„საფრანგეთის პრეზიდენტმა მიხედოს უკრაინას, რომელიც გაწირეს განადგურებისთვის. მე ვსაუბრობ იმაზე, რაც არის რეალური პრობლემა. ტყუილებზე ვერ გავაკეთებ კომენტარს. კომენტარს ვაკეთებ იმ პრობლემაზე, რომელიც დგას ყველას წინაშე – ეს არის განადგურებული უკრაინა“...

ჩვენ თავის დროზე ქალბატონ პია კაუმასთან გვიწევდა საუბარი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მუშაობს ლიბერალური ფაშიზმი, მაგალითად, საქართველოში და რეალურად თვითონ შეიგრძნო ყველაზე კარგად ლიბერალური ფაშიზმის ეფექტი,...

მთავრობის მეთაურის შეფასებით, პია კაუმამ დაინახა ისიც, რომ ლიბერალური ფაშიზმი ქართული მოვლენა არ არის და მასშტაბურად კოორდინირებულია.

„პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადავუხადო ქალბატონ პია კაუმას მისი მონდომებისთვის, მისი სურვილისთვის, დაეხმაროს ქვეყანას და მისი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ ყოველთვის ასეთი იყო. ამას უკავშირდებოდა პია კაუმას მზაობა საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით, თუმცა, ხედავთ, როგორი იყო კონკრეტული სუბიექტების დამოკიდებულება ამ განზრახვის მიმართ, რაც აბსოლუტურად გამაოგნებელია. ვფიქრობ, ქალბატონმა კაუმამ დაინახა ისიც, რომ ეს არის კოორდინირებული საკმაოდ მასშტაბურად. ეს არ არის ქართული მოვლენა, ეს არის საერთაშორისოდ კოორდინირებული მოვლენა. ლიბერალური ფაშიზმი არის ის, რასაც ყველა უნდა ვებრძოლოთ და ეს მიმდინარეობა, ეს იდეოლოგია არის დასამარცხებელი ჩვენს ქვეყანაში“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

* * *

**პატრიარქის** ეპისტოლეში პირველ რიგში ყურადღება გამახვილებული იყო რწმენის მნიშვნელობაზე, ღმერთის სიყვარულის მნიშვნელობასა და მოყვასის სიყვარულის მნიშვნელობაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ თუ რაიმე აკლია დღეს საზოგადოებას, ეს არის ალბათ სიყვარული, - განუცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს სამების ტაძარში, საშობაო ლიტურგიის დასრულების შემდეგ.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, გარკვეული ძალები ხელოვნურად ცდილობენ, ქვეყანაში სიყვარულის მაგივრად სიძულვილი დათესონ.

„ჩვენ ამას უნდა დავუპირისპიროთ სიყვარული და არსებითად ამაზე იყო გამახვილებული ყურადღება პატრიარქის ეპისტოლეშიც. პატრიარქის ყველა ეპისტოლე, რა თქმა უნდა, ეძღვნება პირველ რიგში იმ რეალობას, რომელშიც ცხოვრობს ჩვენი ქვეყანა. ყოველთვის ასეა და ბუნებრივია, დღესაც ეს ასე იყო. ადამიანი, რომელიც არის დაშორებული ღმერთს და რომელიც არის დაშორებული რწმენას, ეს არის თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა და ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა. არის მათ შორის ძალიან მძიმე იდეოლოგია, რომელიც ვრცელდება მთელი საქართველოს მასშტაბით და სწორედ ეს იდეოლოგია აშორებს ადამიანს ღმერთს და აშორებს რწმენას. რა თქმა უნდა, ამას ყველა უნდა დავუპირისპირდეთ და ამისთვის საჭიროა რწმენის დაცვა, ტრადიციული ფასეულობების დაცვა და თითოეული ჩვენგანი ამით უნდა ვიყოთ დაკავებული. ზოგადად, თანამედროვე სამყაროს აქვს სერიოზული გამოწვევები. ეს გამოწვევები დაკავშირებულია მათ შორის კონკრეტულ პოლიტიკურ იდეოლოგიურ მიმართულებებთან და ამასთან ყველას გვიწევს ბრძოლა“, – დასძინა ირაკლი კობახიძემ.



**ფსევდოლიბერალებს 2025 წლის შობა დღესაც ვუსურვებ, ჭეშმარიტებას ეზიარონ, ოღონდ ახლა უკვე არა მოჩვენებითად და ფარისევლურად, არამედ მთელი გულით და შეგნებით!**

**საქართველოს მთავრობა თითოეული მათგანის მოქცევას სიყვარულით შეხვდება და უპასუხებს!**

საქართველო!
SOS!
№2. ხუთშაბათი, 9 იანვარი, 2025 წელი



საიდუმლოს ვამხელთ!

# პრეზიდენტ ტრამპს თითოეულმა ქართველმა უნდა შევუწყოთ ხელი „დიფ სთეითის“ განადგურებაში!



**„დიფ სთეითი“ ბიძინა ივანიშვილს მშვიდობისთვის სჯის. ამ ყველაფერს ქართველი საზოგადოება ძალიან კარგად არჩევს და სწორედ ამიტომ აქვს „დიფ სთეითის“ სანქციებს საქართველოში ყოველგვარი ძალა დაკარგული.**

პირველი გვერდიდან

**ამერიკის არჩეული პრეზიდენტის გუნდი აკეთებს დამაიმედებელ განცხადებებს ამერიკულ ოფიციალურ სტრუქტურებში „დიფ სთეითის“ განადგურების შესახებ. პრეზიდენტმა ტრამპმა ჯერ კიდევ არჩევნებამდე განაცხადა, რომ „ან ამერიკა გაანადგურებს „დიფ სთეითს“, ან „დიფ სთეითი“ გაანადგურებს ამერიკას“. ფაქტია, რომ გასული 4 წლის განმავლობაში სწორედ „დიფ სთეითი“ ანადგურებდა არა მხოლოდ ამერიკას, არამედ მსოფლიოს არაერთ ქვეყანას. „დიფ სთეითმა“ შეუქმნა უმძიმესი ეკონომიკური პრობლემები ევროკავშირს. „დიფ სთეითმა“ ომის ქარცეცხლში გახვია მსოფლიოს არაერთი სახელმწიფო. ყველაზე მძიმედ კი „დიფ სთეითის“ პატრონების გამანადგურებელი ეფექტი ჩვენს მეგობარ ქვეყანაზე – უკრაინაზე აისახა. უკრაინა, რომელსაც 2014 წლამდე ჰქონდა სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, მშვიდობა და თითქმის 200-მილიარდიანი ეკონომიკა, დღეს, პრაქტიკულად, განადგურებულია, რაზეც „მაიდნის“ ავტორები არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებენ.**

საქართველო უკრაინულ სცენარს დიდი ძალისხმევისა და უკომპრომისო ბრძოლის შედეგად ჯერჯერობით გადაურჩა, თუმცა მშვიდობისთვის ბრძოლა გრძელდება და ეს ბრძოლა ბოლომდეა მისაყვანი. ვიდრე არსებობს უკრაინაში პირველი ფრონტი, საქართველოში მეორე ფრონტის ინტერესიც ყოველთვის იარსებებს. სწორედ ამას უკავშირდება სანქციები, რომლებსაც, გლობალური ომის პარტიის კარნახით და „დიფ სთეითის“ ხელით, კონკრეტული სახელმწიფოები ქართველ პოლიტიკოსებსა და თანამდებობის პირებს უწესებენ. ქართველმა ხალხმა ბოლომდე უნდა იბრძოლოს, რომ გადარჩეს და საქართველოს უკრაინიზაცია არ დაუშვას. ამით ჩვენ კარგ საქმეს გავუკეთებთ ევროპასაც, რომლის ქვეყნების უმრავლესობა დღეს „დიფ სთეითის“ თამაშს თამაშობს და საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას ვერ ახერხებს.

ევროკავშირის ბიუროკრატიის ღირებულებითი მდგომარეობა დღეს უმძიმესია, რაც ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული ხუთი რეზოლუციით ყველაზე კარგად გამოიხატა. ამ რეზოლუციებით ევროპარლამენტმა მოითხოვა ბიძინა ივანიშვილის დასჯა, სააკაშვილისა და სხვა კრიმინალების განთავისუფლება, ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონის გაწვევა და ა.შ. ბოლო, მეხუთე რეზოლუციით ევროპარლამენტმა მოითხოვა ის, რის საჯაროდ მოთხოვნასაც სერიოზულ მოთამაშეთაგან მანამდე ვერავინ ბედავდა – რუსეთისთვის სანქციების დაწესება და ქართული ეკონომიკის ჩამოშლა. ამ ტენდენციის გათვალისწინებით, ევროპარლამენტი მეექვსე რეზოლუციაში, მაღალი ალბათობით, რუსეთთან ომის დაწყებასაც ღიად მოგვთხოვს.

კონკრეტული სახელმწიფოების მიერ დაწესებული სანქციების ფორმალური საფუძველი რომ სრულიად არასერიოზულია, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. ბიძინა ივანიშვილს ასანქცირებენ იმისათვის, რომ საქართველოში სისხლიანი ავტორიტარიზმი დემოკრატიული მმართველობით ჩაანაცვლა, ადამიანების წამებისა და მკვლელობის, ბიზნესის რეკეტის, მედიის მიტაცების, არჩევნების გაყალბების სისტემური პრაქტიკა დაასრულა, ქვეყნის ეკონომიკა 28 მილიარდიდან 90 მილიარდამდე გაზარდა და საქართველოს 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა მოუტანა.

## „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო — ვიმედოვნებთ, 2030 წლამდე ევროკავშირი დაძლევს არაფორმალური ოლიგარქიული გავლენისა და „დიფ სთეითის“ პრობლემას, რაც შექმნის პირობებს საქართველოს გასაწევრიანებლად

**ვახტანგ გომელაურს და გმირ პოლიციელებს, მათ შორის, 2008 წლის ომში ნაბრძოლ ადამიანებს ასანქცირებენ იმისათვის, რომ ბოლო ორ წელიწადში ხელისუფლების გადატრიალების სამი ძალადობრივი მცდელობა ეფექტურად აღკვეთეს, თანაც ისე, რომ ამას არათუ მსხვერპლი არ მოჰყოლია, არამედ თუნდაც ერთი ადამიანის ჯანმრთელობაზე არავითარი კვალი არ დაუტოვებია.**

**ამის საპირისპიროდ, ყველას გვახსოვს გლობალური ომის პარტიისა და „დიფ სთეითის“ ფავორიტების, მერაბიშვილის და გახარიას 26 მაისის და 20 ივნისის სპეცოპერაციები, რომლებიც ერთ შემთხვევაში – 4 ადამიანის მკვლელობით, ხოლო მეორე შემთხვევაში 7 ადამიანის ჯანმრთელობაზე უმძიმესი კვალის დატოვებით დასრულდა. შეგახსენებთ, რომ არც მერაბიშვილის და არც გახარიას სანქცირება აზრად არავის მოსვლია, რადგან „დიფ სთეითში“ იხელმძღვანელეს რუზველტის ცნობილი გამონათქვამით – „ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილია“. ლოგიკურია, რომ ვინც „ძაღლიშვილებს“ თავს ევლება, ის გმირ პოლიციელებს ასანქცირებს.**

**ყველას გვახსოვს ისიც, რომ რუსეთთან 2008 წლის ომის გამჩაღებელი დიქტატორი სააკაშვილი „დიფ სთეითმა“ გმირად და დემოკრატიის შუქურად მონათლა. ლოგიკურია, რომ გლობალური ომის პარტია ომის აგენტისთვის ქებას არ იშურებს. ამ ლოგიკის გაგრძელებაა ისიც, რომ „დიფ სთეითი“ ბიძინა ივანიშვილს მშვიდობისთვის სჯის. ამ ყველაფერს ქართველი საზოგადოება ძალიან კარგად არჩევს და სწორედ ამიტომ აქვს „დიფ სთეითის“ სანქციებს საქართველოში ყოველგვარი ძალა დაკარგული.**

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს წინააღმდეგ სანქციები პირველად უკრაინის ხელისუფლებას დააწესებინეს, რომლის უმაღლესი თანამდებობის პირები საქართველოს ხელისუფლებას მეორე ფრონტის გახსნისკენ ღიად მოუწოდებდნენ. ამას მოჰყვა ბალტიისპირეთის ქვეყნების სანქციები, რომლებსაც სუვერენიტეტი, პრაქტიკულად, სრულად აქვთ დაკარგული და მთლიანად „დიფ სთეითის“ კარნახით უწევთ მოქმედება.

თავის დროზე დახურულ კარს მიღმა გაჟღერებულმა მოთხოვნამ და მუქარამ საბოლოოდ საჯარო სახე მიიღო. „ან იომებ, ან დაგსჯით!“ – ეს არის მარტივი გზავნილი, რომელსაც საქართველო და ქართველი ხალხი გლობალური ომის პარტიისგან იღებს. მეტიც, ოპოზიციის პირით, ქართველი ხალხის დასჯაზეც დაიწყეს საუბარი, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ, ხელისუფლებაზე მეტადაც კი, გლობალურ ომის პარტიას ქართველი ხალხის უკომპრომისო პოზიცია აღიზიანებს, რომელმაც კოლექტიური ნაცმოძრაობის, ანუ გლობალური ომის პარტიის აგენტურის ხელისუფლებაში დაბრუნება და ომში საქართველოს ხელმეორედ ჩათრევა არ დაუშვა.

საბოლოოდ, ქართველ ხალხს ვერავინ ვერავითარი სანქციებით ვერ შეაშინებს, რადგან საზოგადოებას კარგად ესმის, რომ ქვეყნის განადგურებას ვერც ერთი სანქცია ვერ შეედრება. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებას ვერავინ ვერავითარი სანქციების ფასად ვერ აიძულებს, ქვეყანა გამანადგურებელი ომისთვის გაწიროს. ქართველი ხალხი საქართველოს უკრაინიზაციას არავითარი სანქციების ფასად არ დაუშვებს.

გლობალური ომის პარტია მხოლოდ საზოგადოების უმცირესობის აზრის მანიპულირებას ახერხებს. კოლექტიური ნაცმოძრაობის მხარდამჭერ უმცირესობას დღეს ის ზუსტად ისევე უპირისპირებს საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, როგორც ეს არაერთ ქვეყანაში გაუკეთებია. ლოკალური ომის პარტიის, ანუ კოლექტიური ნაცმოძრაობის მხარდამჭერებმა ზუსტად იციან, რომ სიმართლე მათ მხარეს არ არის და სწორედ ამიტომ ამბობენ უარს ხელისუფლების ყველა შეთავაზებაზე საჯარო დისკუსიის გამართვასთან დაკავშირებით. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ადამიანებს მონური დამოკიდებულება არ აძლევთ იმის შესაძლებლობას, რომ ამერიკული თუ ევროპული ბიუროკრატიის ნაბიჯებს კრიტიკულად შეხედონ.

**გლობალური ომის პარტიის გავლენით, თანამედროვე მსოფლიოში მოქმედებს ორუელისეული პრინციპი – „ომი არის მშვიდობა, მონობა – თავისუფლება, ხოლო უმეცრება – ძალა“. ომი, მონობა, უმეცრება და ყველაფრის უკუღმა წარმოჩენა არის მთავარი ინსტრუმენტი, რომლითაც გლობალური ომის პარტია თანამედროვე სამყაროს უდიდეს ნაწილს არაფორმალურად მართავს.**

უკვე ზედიზედ მეორედ არ აღიარებენ ეუთო/ოდირის დასკვნას საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, როდესაც მანამდე ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის საქართველოში მოწვევას დაჟინებით ითხოვდნენ. მეტიც, ამ დასკვნით გაგულისებულმა ოპოზიციამ და მისმა პატრონებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველოში ეუთოს დელეგაციის ჩამოსვლა არ დაეშვათ.

ამერიკელ კონგრესმენს ჯო უილსონს დააინიცირებინეს ე.წ. მეგობარი აქტი საქართველოს შესახებ, რომელსაც, შინაარსიდან გამომდინარე, მხოლოდ „მტერი აქტი“ შეიძლება ეწოდოს. უილსონმა იმოქმედა პრინციპით – „სასიამოვნო სასარგებლოსთან ერთად“ და „დიფ სთეითის“ დავალებების შესრულებას ევროპელი პენსიონერების მძარცველი კეზერაშვილისგან ფინანსური სარგებლის მიღებაც დაურთო. ათეულობით ევროპელი პენსიონერისთვის წართმეული ფული ერთ ამერიკელ პენსიონერს – ჯო უილსონს ხმარდება, რითიც „დიფ სთეითი“ თავის პოლიტიკურ ამოცანას ასრულებს და საქართველოს სანქციებით აშანტაჟებს. **ჯო უილსონი არის „დიფ სთეითის“ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოვლინება – დეგრადირებული პოლიტიკოსი ნულოვანი პოლიტიკური კულტურით, რომელიც უხეშად გვემუქრება, რომ დაგვსჯის, თუ არ ვიომებთ.**



შეგახსენებთ, რომ ჯო უილსონს, რომელიც თავს კონსერვატიული მსოფლმხედველობის პოლიტიკოსად წარმოაჩენს, ერთხელაც არ დაუგმია ენტონი ბლინკენის გადაწყვეტილება, რომელიც კაცის – კაცად და ქალის ქალად მოხსენიების აკრძალვას ითვალისწინებდა და რომელსაც პრეზიდენტ ტრამპის გუნდი ერთხმად გაემიჯნა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ უილსონი ბლინკენის ხაზს საქართველოს დასჯის ნაწილშიც ერთგულად აგრძელებს.

პრეზიდენტ ტრამპის მიერ „დიფ სთეითის“ მოშლის ამოცანის წარმატებით შესრულებას შეუძლია, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების თვისებრივი გადატვირთვა უზრუნველყოს, რაც, გვჯერა, თანაბრად შედის როგორც საქართველოს, ისე ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებში.

ევროპაში „დიფ სთეითის“ მეტასტაზების მოშლას შედარებით მეტი დრო დასჭირდება. როგორც უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა აღნიშნა – **„სოროსმა დაკარგა ვაშინგტონი პრეზიდენტ ტრამპის არჩევით, მაგრამ ბრიუსელი კვლავ მის ხელშია“.** ბუნებრივია, სოროსში არა კონკრეტული ადამიანი, არამედ „დიფ სთეითის“ უკან მდგომი ოლიგარქიული ქსელი იგულისხმება.

„დიფ სთეითის“ ევროპული მეტასტაზების მოშლა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების გადატვირთვის აუცილებელი პირობაა. სწორედ ამ მეტასტაზების აქტიურობის შედეგია არა მხოლოდ ევროკავშირის ბიუროკრატიის არსებული ანტიქართული პოლიტიკა, არამედ უხეში ლგბტ პროპაგანდა და მიგრაციული პოლიტიკა, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებს თანმიმდევრულად იდენტობას აკარგვინებს და რითიც ჩვენ ქვეყანასაც უშუალოდ ემუქრებიან.

იმედი გვაქვს, 2030 წლამდე ევროკავშირი სრულად დაძლევს არაფორმალური ოლიგარქიული გავლენისა და „დიფ სთეითის“ პრობლემას, რაც შექმნის სათანადო პირობებს საქართველოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ამასთან, საქართველო არა მხოლოდ პასიურად უნდა დაელოდოს ცვლილებებს ევროკავშირში, არამედ თავადაც აქტიური წვლილი უნდა შეიტანოს ევროკავშირის წინაშე არსებული პრობლემების დაძლევაში.

მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ და ევროპაში – ეს არის დევიზი, რომელიც 2030 წლამდე არამხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის უნდა გახდეს თანაცხოვრების საკვანძო პრინციპი!

**„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო**
**8 იანვარი, 2025**





## შალვა პაპუაშვილი:

# პია კაუმამაც დაინახა, თუ რა სამარცხვინო ოპოზიციასთან გვაქვს საქმე! ადამიანი უბრალოდ გააგიჟეს, ჯერ თითქმის რუსად გამოაცხადეს და როგორც კი თქვა, არ ჩამოვდივარო, ტაში დაუკრეს!!!

**ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ჩამოდიოდა, რომ შეხვედროდა ოპოზიციასაც, ხელისუფლებასაც და ადამიანი უბრალოდ გააგიჟეს, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა 7 იანვარს განაცხადა.**

მისი თქმით, საერთო ჯამში, ამ ყველაფერში კარგიც უნდა დავინახოთ, თავად პია კაუმამაც დაინახა, რა სამარცხვინო ოპოზიციასთან გვაქვს საქმე საქართველოში.

„გახსოვთ, პირველად სიტყვა პოლარიზაცია რომ ახსენა ზოგიერთმა უცხოელმა და ხელისუფლებას მოგვიწოდებდა დეპოლარიზაციისკენ, უცხოელების მხარდაჭერილი, ხელშეწყობილი, თავზე ხელგადასმული ოპოზიციის ქცევა რა იყო. საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ჩამოდიოდა, რომ შეხვედროდა ოპოზიციასაც, ხელისუფლებასაც, ყველას, ვისაც მასთან შეხვედრის სურვილი ექნებოდა და ადამიანი უბრალოდ გააგიჟეს. ასეთ ხალხთან გვაქვს საქმე ჩვენ, საქართველოს ხელისუფლებას. ჩვენ ამაზე ვსაუბრობდით ხოლმე, ზოგი არ იჯერებდა. შეხედეს ხომ?! შეხედეს, რომ არის აბსოლუტური ექსტრემისტების ჯგუფი, პოლიტიკური რადიკალები და ექსტრემისტები, რომლებიც აბსოლუტურად ყველას გადაუვლიან. მანამდე, ქალბატონი პია ლამის რუსად გამოაცხადეს და როგორც კი მან თქვა, რომ კარგი, არ ჩამოვდივარო, შემდეგ ტაში დაუკრეს. არაადეკვატური რადიკალების ჯგუფთან გვაქვს საქმე.

მე მგონი, კარგი იქნება, გარდა ვიზუალისა, ოპოზიცია ცოტა კითხვაზეც თუ გადავა და პია კაუმას წერილსაც თუ წაიკითხავს, სადაც ის საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართავს, პრემიერ-მინისტრთან საუბარს და პარლამენტთან თანამშრომლობას ახსენებს. უბრალოდ, სასაცილო, საზავშვო ბაღი აქვს მოწყობილი ოპოზიციას და მათ მფარველ უცხოელებს. რა დონესთან გვაქვს საერთოდ საუბარი და საერთო ჯამში, ბატონყმური დამოკიდებულება აქვს ოპოზიციას, რომ ქართველი ხალხისგან კი არ უნდა ლეგიტიმაცია, ქართველ ხალხთან საარჩევნო კამპანიაც კი არ ჩაუტარებია. მათ ლეგიტიმაცია უნდათ რომელიღაც უცხოელი პოლიტიკოსისგან, თუ რაღაც პოლიტიკური ჯგუფისგან. კარგია, რომ ამ არჩევნებმა ეს რეალობა დაგვანახა, საბოლოო ჯამში, ვისთან გვაქვს საქმე“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

ცნობისთვის, ევროპარლამენტარმა, რიჰარდ კოლსმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი 8-10 იანვარს საქართველოში დელეგაციით ვიზიტს გეგმავს.

**სამმა ოპოზიციურმა გაერთიანებამ პია კაუმას წერილით მიმართა, რომელშიც ნათქვამია, რომ „ვიზიტის გადადება იქნება საუკეთესო გადაწყვეტილება, ვიდრე რეჟიმი არ აიღებს ვალდებულებას არჩევნების დანიშვნისა და პოლიტპატიმრების გათავისუფლების მიმართ“. ასევე, პია კაუმას წერილით მიმართა გიორგი გახარიამ, რომლის მიხედვითაც, გახარია მოუწოდებს პია კაუმას, გადახედოს თბილისში ვიზიტის მიზანსა და დროს. პია კაუმას საქართველოში დაგეგმილ ვიზიტს გამოეხმაურა გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაელ როთიც.**

**მისი თქმით, „პია კაუმას დაგეგმილი მოგზაურობა საქართველოში სერიოზული შეცდომაა“.**

* * *

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა პია კაუმამ განაცხადა, რომ საქართველოში ვიზიტი გადადო. მოგვიანებით პია კაუმამ მაკა ბოჭორიშვილს წერილით მიმართა, სადაც აღნიშნულია: „გმადლობთ გაგებისა და თანამშრომლობისთვის, ვიმედოვნებ, შევძლებთ ერთად მუშაობას დემოკრატიული პრინციპებისა და პროცესების განმტკიცებისთვის“.

ტყუილია, თითქოს ქართულ არჩევნებში ჩაერია რუსეთი, ამ სიყალბეს გადაგვაყოლა სააკაშვილის მთელმა სამეგობრომ, 12 წელია, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია და რუსეთის მეტი სიტყვა არ დასცდენია ოპოზიციას და მის უცხოელ მხარდამჭერებს, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.



## დავით ქართველიშვილი:

# ყველაფერი გააფუჭა ზელენსკის ინტერვიუმ ლექს ფრიდმანთან

**„უკრაინის საკითხებში ტრამპის სპეციალური წარმომადგენლის, კიტ კელოგის დაგეგმილი ვიზიტი კიევში აღარ შესრულდება. ყველაფერი გააფუჭა ზელენსკის ინტერვიუმ ლექს ფრიდმანთან, რომელიც ტრამპის გუნდთან და განსაკუთრებით ილონ მასკთან დაახლოებული პირია. როგორც ჩანს, აშშ-ში დაბრუნების შემდეგ, ფრიდმანმა ზელენსკის უტყუარი დიაგნოზი დაუსვა: ის არის შეურაცხადი და უიმედო - ამის შესახებ მან ამერიკის ახალ ადმინისტრაციას განუცხადა.**

დღეს უკვე ეჭვგარეშეა, რომ შეერთებული შტატები დიდი ალბათობით შეეცდება ცვლილებები შეიტანოს უკრაინის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში: ზელენსკიერმაკის ტანდემი ამ ეტაპზე უკვე აბსოლუტურად უპერსპექტივოა. აშშ-ს კიევში ესაჭიროება ადეკვატური და სანდო პოლიტიკოსების გუნდი და არა ისინი, ვინც საკუთარ ბინძურ კულუარულ თამაშებს აწარმოებენ.

რა გზით შეიძლება ამის მიღწევა? აქ ორი ვარიანტია მხოლოდ: დაწყებული ახალი არჩევნების ფორსირებით, კიევის არსებული რეჟიმისთვის დახმარების სრული შეწყვეტის ფონზე - სამხრეთ ვიეტნამის სცენარის განმეორებით დასრულებული. ლექს ფრიდმანთან ინტერვიუს შემდეგ, სავარაუდოდ, დღის წესრიგში დადგება ზელენსკის შემცვლელის სასწრაფოდ მოძებნის აუცილებლობა. ასევე არაა გამორიცხული, ზელენსკიმ სამხრეთ ვიეტნამის პრეზიდენტის, ნგო დინ დიემის ბედი გაიზიაროს - რომელიც სამხედრო გადატრიალების შედეგად მოკლეს.

ომთან დაკავშირებით, ზელენსკის და აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის გეგმები ურთიერთსაწინააღმდეგო კონფლიქტში არის შესული: პირველს ომის გაგრძელება უნდა ნებისმიერ ფასად, რათა დარჩეს ხელისუფლებაში (აქედან გამომდინარე, ის კონფლიქტის დასასრულებლად აყენებს აშკარად მიუღებელ პირობებს), ხოლო მეორეს სჭირდება ომის „გაყინვა“. ამ კუთხით, ტრამპი ზელენსკისთან ვერაფერს მიაღწევს და რაღაც მომენტში ის წამოიწყებს კომბინაციას, რის შედეგადაც უკრაინაში უზენაესი ძალაუფლება სხვის ხელში გადავა.

ზოგადად, ლექს ფრიდმანთან ეს ინტერვიუ არის ზელენსკის პიარ გუნდის (რომელიც მანამდე თითქმის უნაკლოდ მუშაობდა) პირველი სერიოზული მარცხი. რატომღაც გმირი-პრეზიდენტის, პრეზიდენტის-მსხვერპლის მაგივრად დევნილი-პრეზიდენტის იმიჯი იქნა შერჩეული. რა მიზნით გაკეთდა ეს, გაურკვეველია, მაგრამ შედეგად მიღებული იქნა უხეში და არასწორი გათვლა. ინტერნეტის უკრაინულ სეგმენტში ზელენსკის ლექს ფრიდმანთან ინტერვიუზე რეაქცია ზოგადად უარყოფითია: ნამდვილად იგრძნობა უკიდურესი გადაღლა, განსაკუთრებით მკაცრი მობილიზაციისა და მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ფონზე....





# ინდონეზია ბრიქსის მეათე სრულფასოვანი წევრი გახდა

**ბრიქსის" სრულუფლებიან წევრთა რაოდენობა ათამდე გაიზარდა. ბლოკს აზიური გიგანტი ინდონეზია ოფიციალურად შეუერთდა.**

მოსახლეობის სიდიდით მსოფლიოში მეოთხე სახელმწიფო ბლოკის წევრი ორშაბათს გახდა. ამის შესახებ „ბრიქსის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და 2025 წლის განმავლობაში ბლოკის თავმჯდომარე-სახელმწიფომ ბრაზილიამ განაცხადა.

ბრაზილიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ინდონეზიის კანდიდატურა თავდაპირველად „ბრიქსის ლიდერებმა 2023 წლის აგვისტოში დაამტკიცეს,მაგრამ მსოფლიოს მეოთხე ყველაზე დასახლებულმა ქვეყანამ გადაწყვიტა გადადოს ბლოკში ფორმალური შესვლა, სანამ მისი ახლად არჩეული მთავრობა ჩამოყალიბდებოდა.

ამ შემთხვევის აღსანიშნავად, ჯაკარტაში საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „ეს მიღწევა ადასტურებს ინდონეზიის მზარდ აქტიურ როლს გლობალური გამოწვევების გადაჭრაში და მის ერთგულებას, გააძლიეროს მრავალმხრივი თანამშრომლობა უფრო მომცველი და სამართლიანი გლობალური სტრუქტურის შესაქმნელად“.

„ბრიქსი" ამჟამად ათი წევრი ქვეყნის (ბრაზილია, რუსეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა, ინდოეთი, ირანი, ეგვიპტე, ეთიოპია, არაბთა გაერთიანებული საამიროები და ინდონეზია) გაერთიანებას წარმოადგენს. მასში გასაწევრიანებლად მიწვეულ საუდის არაბეთს ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. „ბრიქსის" პარტნიორი ქვეყნები არიან აზერბაიჯანი, თურქეთი, ტაილანდი, მალაიზია, ალჟირი, ვიეტნამი, ბელარუსი, ბოლივია, კუბა, ყაზახეთი, ნიგერია, უგანდა, უზბეკეთი. მათგან აზერბაიჯანს, თურქეთს და მალაიზიას ოფიციალური განაცხადი აქვს წარდგენილი წევრობაზე.

აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ნოემბრის ბოლოს „ბრიქსის" ქვეყნებს 100-პროცენტიანი საბაჟო ტარიფებით დაემუქრა, თუ ისინი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში დოლარზე უარის თქმის მცდელობებს გააგრძელებენ.

„ბრიქსის" ქვეყნების მცდელობები, ჩამოშორდნენ დოლარს, სანამ ჩვენ ვდგავართ და ვუყურებთ, დასრულდა. ჩვენ ვითხოვთ ამ ქვეყნებისგან ვალდებულებას, რომ ძლიერი ამერიკული დოლარის სანაცვლოდ ისინი არც ახალ ვალუტას შექმნიან „ბრიქსისთვის" და არც სხვა ვალუტას დაუჭერენ მხარს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი შეეჯახებიან 100% საბაჟო ტარიფებს და შესანიშნავ ამერიკულ ბაზართან დამშვიდობება მოუწევთ. მათ შეუძლიათ წავიდნენ და იპოვონ სხვა „ჩლუნგი". არ არსებობს შანსი, რომ „ბრიქსმა" მოახერხოს საერთაშორისო ვაჭრობაში აშშ-ის დოლარის ჩანაცვლება და ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ამას შეეცდება, უნდა დაემშვიდობოს ამერიკას", - განაცხადა დონალდ ტრამპმა 2024 წლის 30 ნოემბერს.

**ახლა აზრს მოკლებული არ იქნება საუბარი იმაზე, თუ რატომ იყვნენ აფხაზები მუდმივად უმადურნი ქართველებთან დამოკიდებულებაში, რომ არც ისინი იყვნენ ფრთიანი ანგელოზები და მათაც მიუძღვით გარკვეული წილი აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში.**

წლების განმავლობაში ქართველ ხელისუფალთა მიერ აფხაზეთში ტარდებოდა არაგონივრული პოლიტიკა აფხაზეთისა და მისი მოსახლეობის მიმართ: იცვლებოდა ავტონომიური რესპუბლიკის ტოპომიმიკა, აფხაზურ სოფლებსა და გეოგრაფიულ ადგილებს, აფხაზურის ნაცვლად, ერქმეოდა ქართული სახელები; ხელოვნურად იცვლებოდა დემოგრაფიული სურათი: საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ასახლებდნენ აფხაზეთში ქართულ ოჯახებს კომპაქტურად და ერქმეოდა ამ სოფლებს ქართული სახელები. იყო დრო, როდესაც ორი აფხაზი ქუჩაში ვერ ბედავდა აფხაზურ ენაზე საუბარს. მაშინ ბარიდან მთაში გაიხიზნა ბევრი აფხაზური ოჯახი, ხოლო სტალინისა და ბერიას პერიოდის შემდეგ, აფხაზები მომძლავრდნენ ბარად და ხელთ იპყრეს რესპუბლიკის მართვის სადავეები. თანდათან ყველა პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამდებობებზე უპირატესად აფხაზური ეროვნების წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. ეს და ბევრი სხვა გარემოებები იწვევდა დაძაბულობას და დაპირისპირებას საზოგადოებაში. ასეთ პირობებში წარმოიშვა სწორედ საპირისპირო ანტიაფხაზური მიდგომები საზოგადოების ქართულ ნაწილში, რადგანაც როგორც ცნობილია, ქმედება იწვევს უკუქმედებას.

ასე გაჩნდნენ უკანასკნელ პერიოდში ანტიაფხაზური წრეები და ორგანიზაციები, სადაც გაერთიანდნენ ანტიაფხაზური, ქართულ დროშასა და ლოზუნგებს ამოფარებული ცრუ პატრიოტები. მათი მიზანი ქვეყნის ერთიანობის დაცვის გარდა იყო აფხაზების განდევნა აფხაზეთიდან და სამთავრობო თბილ სავარძლებისკენ ლტოლვა. არც კომერციული საკითხები იყო მათ საქმიანობაში უკანასკნელ პლანზე. საკმარისია ითქვას, ორი (აფხაზური და ქართული) სამთავრობო სტრუქტურის არსებობის პერიოდში სოხუმში არსებულმა მინისტრთა საბჭომ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ბატონი თამაზ ნადარეიშვილი და მისი პირველი მოადგილე რამაზ სიჭინავა, რუსეთში გადარიცხა 150 მილიონი მანეთი, თითქოსდა ქართული სამხედრო ქვედანყოფებისთვის ამუნიციებისა და საკვები პროდუქტების შემოტანის მიზნით. მას გაყვნენ ხსენებული სიჭინავა და აფხაზეთის ვაჭრობის მინისტრი მხითარიანი, მაგრამ არც ისინი დაბრუნებულან უკან და არც სურსათი უნახავს ვინმეს!

საერთოდ კი აფხაზეთის ომი კომერციული ხასიათისაც იყო. ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა ააოხრეს აფხაზეთი, გაძარცვეს აფხაზური და სომხური მოსახლეობა, ქართველებსაც კარგა გვარიანად გადაწვდნენ. გაიტანეს აფხაზეთიდან რისი გატანაც შეიძლებოდა. არც ადგილობრივი აფხაზური დამნაშავეობრივი ძალები ჩამორჩენიათ მათ. რუსული ქომაგისა არ იყოს, ომი ვისთვის ტრაგედიაა და ვისთვის კი დედა – მშობლიური!

კომერციული მიზნების შესრულების შემდეგ ქართული სამხედრო გაერთიანებები გამოიქცნენ აფხაზეთიდან და ეს ძმათამკვლელი ომი ხელს შეგვატოვეს ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. მანამდე კი სოხუმის ადგილობრივმა მთავრობამ გაავსო სოხუმის ქუჩები დევნილებით იმის დაპირებით, რომ სოხუმი ისეა დაცული, ჩიტიც ვერ გადაუფრენს და სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო სწავლის პროცესი იმ დროს, როდესაც დანარჩენ საქართველოში ამაზე არც უფიქრიათ და ბოლოს 1993 წლის 27 ივნისის სოჭის ქართულ-აფხაზური ომის შეწყვეტის ხელშეკრულების საფუძველზე განაიარაღეს ქართული შენაერთები და გაათვრთებულ მტერს შეატოვეს აფხაზეთში მოტყუებით დაბრუნებული მოსახლეობა. სოხუმი 27 სექტემბერს დაეცა, ქართველი დევნილები კი გაუყენეს წინასწარ შეკეთებულ ქვემო სვანეთის „გოლგოთის“, საკენ-ჭუბერის გზას ისე, რომ არ გაანეიტრალეს კოდორთან დაბანაკებული დაახლოებით 300- კაციანი აფხაზური დაჯგუფება და არ გაუხსნეს გზა სამშვიდობოზე ოჩამჩირისა და გალის მიმართულებით. ამ დროს ოჩამჩირეში იყო დაბანაკებული, კბილებამდე შეიარაღებული კიტოვანის 9000-იანი ჯარის შენაერთები, რომლებმაც ოჩამჩირისა და გალის მოსახლეობაზე წინ გამოაღწიეს სამშვიდობოს!







# სიმართლე აფხაზეთზე, ანუ იმაზე, თუ როგორ გასხვისდა იგი

რა უნდა დაერქვას ხელისუფლების ასეთ ქმედებებს, თუ არა ღალატი. არნახული და გაუგონარი, ღალატი საკუთარი მოსახლეობის წინაშე!..

* * *

**აფხაზები** თავიდანვე ითხოვდნენ იმას, რაც მათ არ ეკუთვნოდათ. წინა პერიოდში მოითხოვდნენ რესპუბლიკისთვის უფრო მაღალ სტატუსს, ხოლო საბჭოთა კავშირში გარდაქმნის პერიოდში დაადგნენ აშკარა კონფრონტაციის გზას – ფეხი აუწყვეს ყოფილ იმპერიაში დაწყებულ ნგრევის პროცესს და მოითხოვდნენ საქართველოს შემადგენლობიდან გასვლას. ამ დროს ისინი უტიფრად უგულვებელყოფდნენ 47%-იანი ქართველი მოსახლეობის ნებასა და კონსტიტუციურ უფლებებს.

ასეთ დროს ჩვენგან უმაღლეს, სამთავრობო დონეზე აფხაზეთის მხარესთან შეხვედრებსა და სისტემურ დიალოგს არ ჰქონია ადგილი. არავითარ კონსტრუქციულ წინადადებებს არ ვთავაზობდით მათ. გაისმოდა მხოლოდ უადგილო რეპლიკები: „ვინ არიან, რა უნდათ აფხაზებს, ესენი ხო ეთნოსი არ არიან(!), რა უნდათ იმაზე მეტი, რაც გააჩნიათ? თუ ჭკვიანად არ იქნებიან, დაკარგავენ იმასაც, რაც გააჩნიათ; ვინ არის ეს ყბადაღებული არძინბა, თუ არ უნდა სიკეთე, წაეთრიოს იქ საიდანაც ჩამოეთრია! (**პრეზიდენტი გამსახურდია**); „აფხაზებს არავითარი რესპუბლიკა, მათ მხოლოდ კულტურული ავტონომია“ (**კიტოვანი, შევარდნაძე, იოსელიანი**); ჩვენ გვჭირდება მხოლოდ უნიტარული სახელმწიფო ყოველგვარი ავტონომიების გარეშე (სახალხო ფრონტი, ნოდარ ნათაძე)...

ბუნებრივია, ამ აბსურდულ გამონათქვამებს გონივრულ და წინდახედულ პოლიტიკასთან არაფერი არ ჰქონდა საერთო.

ამდენად, ჩვენ ყველა სერიოზული შეცდომა უნდა ვაღიაროთ ხმამაღლა, დაუფარავად, რანაირი მწარეც არ უნდა იყოს ის! მხოლოდ სიმართლე, სრული სიმართლე უნდა ითქვას დაუფარავად! ნახევარი სიმართლით დიდი შერიგება ვერ შედგება!

ზედაპირული, ბუტაფორიული შერიგება არაპროგნოზირებადია! ის ნებისმიერ დროს შეიძლება დაირღვეს!

და მაინც როგორ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება ჩვენს, ისტორიულად მოძმე ხალხებს შორის და ჩამონწოლილი გაუცხოების და უნდობლობის დაძლევა?!

ერთმანეთისკენ მიმავალი ჩახერგილი გზებისა და ჩატეხილი ხიდების აღდგენა ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ჩვენი ხალხების ერთობლივი ძალისხმევით! ამის გაკეთება მოგვიწევს ჩვენ, ქართველებსა და აფხაზებს. ეს იცის ყველამ, მაგრამ ხმამაღლა ამაზე არავინ საუბრობს. იცოდნენ ეს აფხაზების აწ განსვენებულმა ლიდერებმაც. **„В Абхазии танки не нужны были! Зачем танки, когда можно было договориться. Всё-таки абхазы свое будущее должны искать с грузинами“.** – ასე აღნიშნავდა ჩვენთან საუბრისას ცნობილი აფხაზი მწერალი ფაზილ ისკანდერი,რომელსაც 1995 წელს მოსკოვში, „პერედელკინოში“ ცნობილ აფხაზ საზოგადო მოღვაწესთან, ალექსი კვიცინიასთან ერთად ვესტუმრე.



ტარას შამბა

ასეთივე აზრისა იყო ასევე აფხაზეთის სახალხო პოეტი ბაგრატი შინკუბა: **„Зачем все это, мы никуда ведь не собирались уходить. Мы Богом обречены на совместное проживание! Больно мне за свой народ, и как теперь из тупика будем выходить?“**

ასეთი აზრისა იყო ასევე არანაკლებ ცნობილი აფხაზთა ლიდერი და იდეოლოგი ტარას შამბა, რომელსაც 2005 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად საკუთარი ინიციატივითა და სახსრებით ვხვდებოდი ქალაქ მოსკოვში...

ტარას შამბა, ეს უსათვალჩინოესი აფხაზი თვლიდა, რომ კრიზისიდან ერთად უნდა გამოვიდეთ და ქართველები და აფხაზები უნდა მივუბრუნდეთ ისევ წინაპართა ნაკვალევ გზას. სწორედ მას ეკუთვნის ზემოთ მოტანილი კოლხური სიბრძნე: **„შარა ნაშარს დო წყარ ნაწყარს!“**, მანვე აღნიშნა, რომ უღრან ტყეში რუსული დათვის ჩახუტებით ყოფნას ჯობია ქართული ფინიას გვერდით ყოფნა. ფინია დროდადრო იკბინება კიდევაც, მაგრამ ფინია მაინც ადამიანის მეგობარია. ტარას შამბა ბრძენი კაცი იყო, ის ხეების იქით ტყეს ხედავდა. მისი აზრი და ძალისხმევა იყო ყოველთვის მიმართული აფხაზი ხალხის, როგორც ძირძველი ეთნოსის თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ!

აფხაზეთში რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, მკვეთრად შეიცვალა ვითარება. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება რუსეთის ზეწოლის ქვეშ იმყოფება და მუდმივად აშანტაჟებს მას საბიუჯეტო, საფინანსო დახმარებისა და მოსახლეობისთვის საპენსიო დახმარების შეწყვეტით, რათა მიაღებინონ ისეთი კანონები, რომლებიც რუსებს აფხაზეთის ანექსიის უფრო მეტ საშუალებას მისცემს! ეს არის საკურორტო ობიექტების და მიწების შესყიდვის საშუალება, ასევე აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში – გალისა და ოჩამჩირის რეგიონში 100 000 რუსეთის მოქალაქისთვის საცხოვრებელი სახლების გაშენების უფლება. ეს რუსეთის მხრიდან აფხაზეთის მიერთების აშკარა მცდელობაა.

ახლა ძალიან უჭირს აფხაზებს! აქ ამერიკისა და ევროკავშირის მიერ დეკლარილებული აფხაზეთის არაღიარების პოლიტიკა ვერ უშველის აფხაზეთში განვითარებულ ვითარებას. არაღიარების პოლიტიკა ვერ უშველის საქმეს. ამაში დაგვარწმუნა უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა. მიუხედავად მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პროტესტისა და ყოველგვარი სანქციებისა, რუსეთი აგრძელებს უკრაინის სამხედრო ოკუპაციას. კრილოვისა არ იყოს: **„Кот Ваську слушает, да ест!“**

**აქ საქართველომ უნდა გამოიჩინოს მეტი გამჭრიახობა და აღადგინოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა. მხოლოდ მასთან დიალოგის**

დასასრული, დასაწყისი იხილეთ N151-152-1-ში

საქართველოს რესპუბლიკა

**გზით შეიძლება შენელდეს რუსეთის ექსპანსია აფხაზეთში. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია დავეხმაროთ აფხაზეთსა და, ასევე ოსეთის მკვიდრ მოსახლეობას.**

ყველაფერი ეს და საერთოდ აფხაზეთის ტრაგედია საქართველოში სამხედრო გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლების ღალატის ტოლფასი, შეცდომებით აღსავსე საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგია. ამიტომ, სიმართლის აღიარებასთან ერთად, საჭიროა ქვეყანაში დატრიალებულ მოვლენებს, დაწყებული ხელისუფლების სამხედრო გადატრიალებით და დამთავრებული აფხაზეთის ტრაგედიით, უნდა მიეცეს სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება. ამას მოითხოვს შექმნილი რეალობა! როდესაც ვაღიარებთ დაშვებულ საბედისწერო შეცდომებს და ბოდიშს მოვუხდით იმ აფხაზთა თუ ქართველთა ოჯახებს, რომელთა მკვიდრნი შეეწირნენ ჩადენილ უგუნურობას, ადვილად მოვნახავთ მერაბ კოსტავასეულ გზებს ჩვენი მოძმე ხალხის გულებისკენ. ეს არის ერთადერთი სწორი გზა – ხალხების შერიგების გზა, რომელიც გადაარჩენს პირველ რიგში აფხაზებს, როგორც ეთნოსს, ერთად გამოგვიყვანს კრიზისიდან და დაგვაყენებს ჩვენი წინაპრების მიერ გაკვალულ გზაზე!

ამდენად, კონფლიქტის მოგვარება ხელს აძლევს უპირველესად აფხაზ ხალხს, რათა გადაურჩეს რუსებთან ასიმილირებას და რომ არ აღიგავონ პირისაგან მიწისა, როგორც ეთნოსი. მას დღეს უჭირს როგორც არასდროს, ის დღეს გზაჯვარედინზეა და არ იცის, საით წავიდეს – ჩრდილო-დასავლეთისკენ თუ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ!

არ იცის, ვის მიანდოს თავისი და მომავალი თაობების ბედი, ვის ენდოს!

ჩრდილოელი მეგობარი, „ყველა ჩაგრულის და განაწყენებულის მხარში ამომდგომი“, ცდილობს, შეითვისოს აფხაზეთი დედაფუძიანად.

ამას უნდა მიხვდეს აფხაზი ხალხი. უნდა მიხვდეს, რომ უღრან ტყეში ხიფათი უფრო მეტია. აი აქ გადამწყვეტი როლი და მისია ეკისრება ბრძნულ და გულწრფელ სახალხო დიპლომატიას. მხარეთა ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინონ ეს ფაქტორი და აამოქმედონ ხალხებს შორის არსებული და განსაკუთრებით სისხლისმიერი ნათესაობრივი კავშირები და ჩართონ შერიგების პროცესში მხარეთა საზოგადოების რჩეულნი, ჭკუასაკითხავი ადამიანები. ეს ჩვენი ხელისუფლების მოწოდებითა და წინადადებით უნდა მიმდინარეობდეს. ყოველ შემთხვევაში კონფლიქტის დარეგულირების საწყის ეტაპზე, მათ შეუძლიათ აღადგინონ პროფესიული, მეგობრული და სისხლ-ნათესაური ურთიერთობა. აფხაზმა ხალხმა იცის, რომ ჩვენ საუკუნოობით ვსახლობდით და ვცხოვრობდით გვერდი-გვერდ, ბოლოს უგუნურთა საქმიანობის შედეგად, შეილახა ჩვენი მეზობლურ-ნათესაობრივი კავშირები, ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩვენი კეთილი მეზობლობა და მეგობრობა, რითაც ზურგი მოერღვა აფხაზების, როგორც ეთნოსის გადარჩენის საკითხს და ასევე ჩამოიშალა კოლხებისთვის ისტორიულად მინიჭებული საპატიო მისია – ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისა.

* * *

**ამ** საქმეში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს ამას წინათ ცნობილი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონ ფრიდონ ინჯიას მიერ დაფუძნებულმა „სამეგრელოს უხუცესთა საბჭომ“. ხელისუფლებამ მას უნდა მიანდოს სამეგრელოსთვის ჩამორთმეული ისტორიული მისია – საქართველოსთვის აფხაზეთის შემორიგებისა და შემომტკიცების მისია! დარწმუნებული ვარ, რომ „სამეგრელოს უხუცესთა საბჭო“ ღირსეულად გაუმკლავდება ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეს. იგი აფხაზეთის „უხუცესთა საბჭოსთან“ ერთად გაარღვევს ქართველ და აფხაზთა ხალხებს შორის ჩამოწოლილ გაუცხოებისა და უნდობლობის ყრუ კედელს, შემოაბრუნებს აფხაზ ხალხს ჩვენსკენ და გადამწყვეტ როლს ითამაშებს დიდი შერიგების პროცესში.

ამიტომ უნდა ყველასგან, მათ შორის ხელისუფლებისგან მხარდაჭერა „სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს“.

ძმებო აფხაზებო, გემუდარებით, ყური მიუგდეთ აწ განსვენებულ თქვენს თვალსაჩინო წინაპრების გონივრულ და ბრძნულ შეგონებებს და შემობრუნდით ჩვენსკენ. ყური მიუგდეთ და გაყევით მათ მიერ გაკვალულ, გაკაფულ გზებს. მხოლოდ ჩვენთან შეინარჩუნებთ თქვენს ეროვნულ თავისთავადობას და თვითმყოფადობას, ენასა და უფლისგან ბოძებულ მამულს!

ძვირფასო აფხაზებო, თქვენ გაგიჭირდებათ დღევანდელი საქართველოსკენ შემობრუნება! მაგრამ ის რაც ხდება დღეს საქართველოში, დროებითია! საქართველოში არჩევნები არ გაყალბებულა! ის ვინც დღეს რუსთაველზე გაჰყვირის, ქვეყნის და ქართველი ხალხის მტერია. რადიკალურ ოპოზიციას ქვეყნის გარეთ არსებული რეაქციული ძალების დახმარებით სურთ არსებული ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა და ქვეყნის სათავეში მოსვლა! ისინი ქვეყნის მტრები არიან!

საქართველოს კი დღეს ნამდვილი პატრიოტები მართავენ, დიდი ქართველი ქველმოქმედის და მამულიშვილის ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით.

ნაცისტი მოღალატეები, მეხუთე კოლონა მალე ჩაბარდება ისტორიას – „წყალნი ჩაივლიან და ქვიშანი დარჩებიან!“

ასე რომ, ძვირფასო აფხაზებო, დღეს საქართველოში განვითარებული მოვლენები დროებითია და თქვენი და ჩვენი მომავალი იქნება ნათელი და ბედნიერი! არ განმეორდება არასდროს დაშვებული შეცდომები! უნდა მოვინანიოთ ერთად ყველაფერი ის, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენ შორის! დღეს სხვა დროა და სხვა ეროვნული თვითშეგნება და მენტალიტეტი!

**მივუბრუნდეთ ჩვენს ისტორიულ გამოცდილებას და ჩვენს მშობლიურ კოლხურ სიბრძნეს: შარა ნაშარს დო წყარ ნაწყარს!..**



**ნაპო მესხია,**
**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, ნეირო-ქირურგიის დოქტორი, პროფესორი, სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.**

## გია ვოლსკი: მაინც, რატომ ერჩის მაკრონი საქართველოს?!

### „ძალიან სამწუხარო და შემაძრწუნებელია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი საქართველოს ერჩის, რათა ეს დესტაბილიზაციის სცენარი არ შეჩერდეს და განვითარდეს“.

**პარლამენტის ვიცე სპიკერის გია ვოლსკის განცხადებით, ძალიან სამწუხარო და შემაძრწუნებელია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი საქართველოს ერჩის, რათა ეს დესტაბილიზაციის სცენარი არ შეჩერდეს და განვითარდეს.**



მისი განმარტებით, თვითონ მაკრონი სერიოზულ პრობლემებს განიცდის და მისი რეიტინგი ძალიან დაბალია.

„საოცრებაა, თითქოს არ იცის, რომ ბიულეტენის ჩაყრა საგანგებოდ მოხდა. ეს აღიარებულიც არის, ის ადამიანი დაიჭირეს კიდეც და ამასთან დაკავშირებით გამოძიებაც მიმდინარეობს. ეს ყველაფერი იცის, მაგრამ ძალიან სამწუხარო და შემაძრწუნებელია, რომ ამხელა ქვეყნის პრეზიდენტი, თუმცა ძალიან დაბალრეიტინგიანი, ჩვენ ქვეყანას ერჩის, რათა ეს დესტაბილიზაციის სცენარი არ შეჩერდეს და განვითარდეს. თვითონ რეიტინგი 12 პროცენტამდე ჩამოუვიდა, ხელისუფლება ვერ შეკრიბა, მთავრობა ვერ შეადგინა. სერიოზულ პრობლემებს განიცდის. საფრანგეთში მიტინგებზე ახლახან 11 ადამიანი მოკლეს შეტაკებების დროს, 200 ადამიანი მძიმედ დაშავდა და ამ ვითარებაში ჩვენს პატარა ქვეყანას ერჩის”!..

## ჯასტინ ტრუდო კანადის პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგა

**ჯასტინ ტრუდო კანადის პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან და მმართველი ლიბერალური პარტიის ლიდერის პოსტიდან გადადგა.**

ამის შესახებ BBC იტყობინება.



როგორც ტრუდო აცხადებს, გადადგომის გადაწყვეტილება ოჯახთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ მიიღო.

ტრუდო პრემიერ-მინისტრის თანამდებობას მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით ახალი ლიდერის არჩევამდე შეინარჩუნებს.

## ტრამპი კანადას ექურქურება!

### აშშ-ს აღარ შეუძლია, აიტანოს უზარმაზარი სავაჭრო დეფიციტი და სუბსიდიები, რომლებიც კანადას არსებობისთვის სჭირდება, ჯასტინ ტრუდო ამას აცნობიერებდა და გადადგა .

**აშშ-ის არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი კანადის პრემიერ-მინისტრის, ჯასტინ ტრუდოს გადადგომას ეხმიანება.**



„ბევრ ადამიანს კანადაში მოსწონს 51-ე შტატად ყოფნა. შეერთებულ შტატებს აღარ შეუძლია, აიტანოს ის უზარმაზარი სავაჭრო დეფიციტი და სუბსიდიები, რომლებიც კანადას არსებობისთვის სჭირდება. ჯასტინ ტრუდო ამას აცნობიერებდა და გადადგა. თუ კანადა შეერთებულ შტატებს შეუერთდება, გაუქმდება საბაჟო ტარიფები, მნიშვნელოვნად შემცირდება გადასახადები და ქვეყანა სრულიად დაცული იქნება რუსული და ჩინური გემების საფრთხისგან, რომლებიც მუდმივად გარს ეხვევიან. ერთად რა დიდებული ერი იქნებოდა“, – წერს დონალდ ტრამპი სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, ტრამპმა კანადის 51-ე შტატად გადაქცევაზე არაერთხელ განაცხადა, მათ შორის ამ საკითხზე იხუმრა ჯასტინ ტრუდოსთან შეხვედრის დროს. ტრამპმა კანადიდან შესული საქონლისთვის საბაჟო გადასახადების გაზრდის შესახებ გააკეთა განცხადებები, რაზეც ტრუდომ აღნიშნა, რომ მსგავსი საბაჟო ტარიფები კანადის ეკონომიკას დააზარალებს, რა დროსაც ტრამპმა იხუმრა, რომ თუ ასეა, კანადას შეუძლია, აშშ-ს 51-ე შტატად შეუერთდეს.



## რეჯეფ თაიფ ერდოღანი: – ჩვენ არ დავეთანხმებით სირიის დაშლას!

**ჩვენ არ დავეთანხმებით სირიის დაშლას ან მისი უნიტარული სტრუქტურის მოშლას რაიმე საფარქვეშ და ამ კუთხით თუ რისკს დავინახავთ, სასწრაფოდ გადავდგამთ საჭირო ნაბიჯებს, – ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა.**

ერდოღანის თქმით, თურქეთის სურვილი, მოლოდინები და პოლიტიკა ემთხვევა სირიის ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკას, რომელსაც სურს ტერიტორიულ მთლიანობასა და ერთიანობაზე დაფუძნებული სირიის აშენება.

„ერთადერთი ბედი, რომელიც ელოდებათ მათ, ვინც ტერორიზმსა და ძალადობას ირჩევს, არის მიწაში დამარხვა მათ იარაღთან ერთად. ამას ღიად ვამბობ: ამას ვერანაირი ძალა ვერ შეუშლის ხელს. თურქეთმა არაერთხელ აჩვენა, როგორ აქვს უკომპრომისო ნება, დაიცვას თავისი გადარჩენა და უსაფრთხოება. საქმე თუ იქამდე მივიდა, ერთ ღამეს შეიძლება, მოულოდნელად ისევ მოვიდეთ. წრე იხურება სეპარატისტულ ორგანიზაციასთან და მის დანაყოფებთან სირიაში“, – განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა.

## ილჰამ ალიევი: აზერბაიჯანის მოქალაქეების დაღუპვაზე პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება!

**„აზერბაიჯანის ავიახაზების თვითმფრინავის ჩამოვარდნაზე პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს ეკისრებათ”, – ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა.**



ალიევი სამართლიანობის აღდგენასა და დამნაშავეების დასჯას ითხოვს.

“დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ კატასტროფაში აზერბაიჯანის მოქალაქეების დაღუპვაზე პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს ეკისრებათ. ჩვენ ვითხოვთ სამართლიანობას, ვითხოვთ დამნაშავეთა დასჯას, ვითხოვთ სრულ გამჭვირვალობას და ადამიანურ ქცევას“, – განაცხადა ილჰამ ალიევმა.

ამასთან, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა განმარტა, რომ შავი ყუთების გაშიფვრა გრძელდება და შესაძლოა, წინასწარი შედეგები უახლოეს მომავალში გახდეს ცნობილი.

## გერმანიაში პიროტექნიკას 5 ადამიანი ემსხვერპლა!



**გერმანიაში 1 300 000-ზე მეტმა მოქალაქემ პიროტექნიკის აკრძალვის პეტიციას მოაწერა ხელი.**

როგორც განცხადებაში წერია, პიროტექნიკას სამართალდამცავების წინააღმდეგ იარაღად იყენებენ.

პიროტექნიკის აკრძალვის ინიციატივით ქვეყნის პოლიციელთა პროფკავშირი გამოვიდა.

**Deutsche Welle**-ს ინფორმაციით, გერმანიაში პიროტექნიკის გამოყენებას ახალი წლის დღეებში 5 ადამიანი ემსხვერპლა.




## პაატა ნაცვლიშვილი

# ფეისბუქი-2024, რჩეული პოსტები

*ფეისბუქს მისი პირველი ნაბიჯებიდან ვადევნებ თვალს, იმ დროიდან, როცა მას ჩვენში ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოო სახელი და ქართული ენის პურიტანები მას ხან პირწიგნაკს ეძახდნენ, ხან მეგობრობის წიგნს, ხან მეგობრულას, ხან პროფილნაკს და ხან სახესამყაროს...*

*ათ წელიწადზე მეტია, დარეგისტრირებული ვარ ფეისბუქზე. თავიდან სამი ფანპეიჯი მქონდა, რომელთაც ჩემი სტუდენტები უძღვებოდნენ, როგორც ადმინები. 2019 წელს კი ფეისბუქის კიდევ ერთი, მეოთხე ანგარიში გავხსენი, რომელსაც მას მერე თავადვე ვმართავ და ამასთან ერთად იმ ძველებსაც მეტ-ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ. განსაკუთრებით გავაქტიურდი, და ეს ბუნებრივიცაა, პანდემიის წლებში. სწორედ მაშინ შეიქმნა ჩემი ფეისბუქური ჰოდა-სტილი – „ჰოდათი" რომ იწყება ტექსტის სათაური და ყველა აბზაცი.*

*ნახევარი საუკუნის მანძილზე ნებისმიერ ჟურნალისტურ მედიაში მიმუშავია რეპორტიორობიდან დაწყებული მთავარ რედაქტორობამდე, ახლაც ნებისმიერ მედიას კარგად ვიცნობ, მაგრამ თავისი სიმარტივით ფეისბუქს ვერც ერთი ვერ შეედრება. ალბათ ამიტომაც ჰყავს მას ამდენი მომხმარებელი. სწორედ ამ სიმარტივით – საკუთარი აზრის გამოქვეყნების სიმარტივეს ვგულისხმობ – ჰქმნის იგი იმის ილუზიას, რომ თითქოს საჯაროდ გამოფენას იმსახურებს და სხვებისთვისაც საინტერესოა ყველაფერი, რაც გამოქვეყნების ღირსი კი არა, ჩვეულებრივ სამზარეულოსა და სოფლის ორღობეს არ უნდა გასცილებოდა. მაგრამ ეს არის სწორედ ფეისბუქის ღირსებაც და ნაკლიც. ბევრს ფეისბუქურმა აქტივობამ ჟურნალისტობის ილუზიაც შეუქმნა. ხანდახან ფეისბუქზე მართლა ძნელი გასარჩევია, სად იწყება და სად მთავრდება ჟურნალისტიკა, მაგრამ აქაურ ჟურნალისტიკას ძირითადად (ბოდიში ნამდვილ ფოლკლორთან), ალბათ, მაინც* ***ჟურნალისტური ფოლკლორი*** *შეიძლება ეწოდოს.*

*მე კი მუდამ ვცდილობდი და ვცდილობ, რომ ფეისბუქის სივრცე სერიოზული ჟურნალისტიკის ახლებურ პლატფორმად მექცია – ერთგვარ ინდივიდუალურ მედიად, რომელიც, ოპერატიულობას რომ თავი დავანებოთ, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისაგან, რომ აქ ადამიანი თავად არის მომხმარებელიც და მომწოდებელიც, ავტორიც და პერსონაჟიც, რედაქტორიც და ცენზორიც, იგი მკითხველსაც თავად არჩევს და მაყურებელსაც. ამავე დროს, ვცდილობ, რომ ფეისბუქის ჩემი კედელი სანდო ინფორმაციის წყაროდ ვაქციო და არ ავყვე საკუთარ თუ სხვათა უაზრო ემოციებს, რომელიც თავად ავტორს აღარაფერს ეუბნება მცირე ხნის შემდეგ. ვცდილობდი და ვცდილობ, რომ თავი ავარიდო ჭორაობას, უსაგნო დისკუსიას და, რასაკვირველია, ლანძღვა-გინებასა და სიძულვილის ენას. ამის მიუხედავად, არასოდეს არც ერთი მეგობარი არ წამიშლია მეგობართა სიიდან, ისევე როგორც მათი უხამსი თუ შეურაცხმყოფელი კომენტარები ჩემი პოსტის ქვეშ, თუმცა უნდა ვთქვა, რომ ჩემს კედელზე ასეთი ბევრი არ ყოფილა, რასაც მთელ ქართულ ფეისბუქზე ვერ ვიტყვი.*

*გვინდა თუ არ გვინდა, ფეისბუქის სივრცე იქ დატრიალებული ინფორმაციით, განცდებითა თუ ვნებებით ჩვენი საზოგადოების ერთგვარი სარკეა, უფრო ზუსტი და უფრო სარწმუნო, ვიდრე აქამომდელი ნებისმიერი მედია – გინდა ბეჭდური და გინდა არაბეჭდური.*

*როგორც ჩანს, ფეისბუქი, რომელმაც სხვადასხვა დოზით ჩაანაცვლა ბეჭდური თუ ელექტრონული მედია, ჩაანაცვლა ტელეფონი, წარსულს ჩააბარა ოდესღაც პრესტიჟული და ელიტარული რადიომოყვარულობა, თავის თავში ატარებს ყველა ამ მედიის თვისებასა და ღირსებას – უკვე პერსონიფიცირებულსა და გარკვეულწილად თვითკმარს.*

***მუდამ მიჩნდება სურვილი, ბევრი რამ, რაც ფეისბუქში ხდება, მყარ მატარებელზე, ფურცელზე გადავიტანო. ეს პირველ ყოვლისა, საკუთარ ტექსტებს ეხება. არსებობს წიგნები, მათ შორის ქართულ ენაზეც, სადაც შეკრებილია ერთი ან რამდენიმე ავტორის ფეისბუქ-პოსტები. ბევრი მათგანი ძალზე საინტერესო საკითხავია. ჩემი ნება რომ იყოს, ცალკე წიგნებად გამოვცემდი როსტომ ჩხეიძის, თეა გვასალიას, ზურა მეძველიას, ვახო ელერდაშვილის, კოკა ჭუმბურიძის, ნინო კვაჭანტირაძის და სხვათა ტექსტებს, გადრი ვადაჭკორიას, იური მეჩითოვის, სერგო ედიშერაშვილის, შერმაზანასა და სხვათა ფოტოებს.***

*მგონია, რომ ფეისბუქზე განთავსებული ჩემი ტექტების უმეტესობაც გარკვეული დროის შემდეგაც ასე თუ ისე საინტერესო უნდა იყოს მკითხველისთვის. შარშან ჩემს ჟურნალისტურ სახელოსნოში სტუდენტებთან ერთად ბოლო ხუთი წლის ჩემი რჩეული პოსტები ამოვკრიბეთ თავიანთი კომენტარებით და კარგა მოზრდილი წიგნიც გამოვიდა. კიდევ ერთხელ უნდა წავიკითხო მკაცრი რედაქტორის თვალით და მერე ალბათ გამოვცემ კიდეც. ფეისბუქზე პირველად გამოქვეყნებულ ლექსებს აქ არ ვგულისხმობ. ლექსი მაინც ბეჭდური მედიის არჩივია.*

*მანამდე კი „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორის თავაზიანი თხოვნით, გაზეთის მკითხველს 2024 წლის ჩემს რჩეულ პოსტებს ვთავაზობ. ბევრი არ არის, მკაცრად შევარჩიე. თითქმის არაფერი შემიცვლია, თუმცა ზოგიერთმა ტექსტმა მსუბუქი რედაქტირება მაინც დაისაჭიროვა – ერთი მედიიდან მეორეში გადასატანად.*



## 3 თებერვალი, 2024

### ერთი ფოტოს ისტორია, ანუ ბუმბერაზთა შეხვედრა ლოს-ანჯელესში 1931 წლის 7 მარტს

**1931 წელს** ალბერტ აინშტაინი საგანგებოდ ჩავიდა ლოს-ანჯელესში ერთადერთი მიზნით – დასწრებოდა 7 მარტს ჩარლი ჩაპლინის „დიდი ქალაქის ჩირაღდნების" პრემიერას და პირადად შეხვედროდა მის ავტორს. აინშტაინი 52 წლისა იყო, ჩაპლინი – 42-ის. სწორედ 42 წლისა იყო აინშტაინი, როდესაც ნობელის პრემია მიიღო.

– ყველაზე მეტად რაც აღმაფრთოვანებს თქვენს ხელოვნებაში, ეს მისი უნივერსალურობაა: სიტყვას არ ამბობთ, მაგრამ მთელ მსოფლიოს ესმის თქვენი, – ინგლისური **word** და **world** გაათამაშა აინშტაინმა კალამბურულად.

– კი, მართალია, – დაეთანხმა ჩაპლინი, – მაგრამ თქვენი დიდება კიდევ უფრო მეტია: მთელი მსოფლიო აღფრთოვანებულია თქვენით, თუმცა თქვენი არც ერთი სიტყვა არავის ესმის!

მეცნიერებისა და ხელოვნების ორი ასეთი ბუმბერაზის ეს უშუალო შეხვედრა შეიძლება უნიკალურია ისტორიაში.

იმ დღეს ბევრი ფოტო გადაუღიათ. აი, ერთ-ერთი მათგანი. ორივეს ისეთი ეშმაკური გამომეტყველება აქვს, თითქოს ეს წუთია გაცვალეს ის სიტყვები.

## 4 თებერვალი, 2024

### ჰოდა, ერთი ფოტოს ისტორია, ანუ თინეიჯერულ თუ თვენთიეიჯერული წვერისა და ბოტასებისა

**ჰოდა**, შემოვიხედე დღეს დილას ფეისბუქში და თავი თვენთიეიჯერი მეგონა: აქეთ ჩემი კლასელი რუსუდან გრიგოლია მიცინის 25 წლისა იმ თავისი ნიუ-იორკიდან, იქეთ 21 წლის გია ნაცვლიშვილი აჟღარუნებს გიტარას თავის თანატოლებთან ერთად, აქვე 21 წლის ეკატერინე ტოგონიძე, როცა ის ჩემი სტუდენტი იყო; მერე ჩემი ძველი უნივერსიტეტელი ნაცნობები მახსენებენ თავიანთ თვენთიეიჯერებიან თავებს – რომელი ერთი ჩამოვთვალო: **ლაურა კუტუბიძე, ელენე სალარიძე, რაულ ჩილაჩავა, მარინა ლომიძე**... ამას კიდევ ჩემი ძველი თანამშრომლები დაემატნენ, მანამდელი ფოტოებით, სანამ ჩემი თანამშრომლები გახდებოდნენ... მერე კიდევ პოეტები – **სტრონამდელი ნინო დარბაისელი**, ნეშვილი და ტენესი რომ არ იცოდა საით იყო, იმდროინდელი ფოტოთი, ანა მარგველაშვილთან ერთად რომ გადაუღია ფშავში; აქეთ კიდევ – **ვახტანგ ჯავახაძე,** არასოდეს რომ არ მინახავს, ისეთი ახალგაზრდა, მგონი, ჩემს დაბადებამდე გადაღებული ფოტოთი.

ჰოდა, მოკლედ, ჩამოვსქროლე და მივხვდი, რომ ჩამოვრჩენილვარ ფეისბუქურ სრბოლას. მერე და მერე გავიგე, რომ ეს ყველაფერი დღევანდელი ფეისბუქური ტრენდი ყოფილა, გინა – ჩელენჯი ანუ გამოწვევა. **see you at** 21– ჰოდა, ზოგმა მთლად 21-ისა რომ ვერ მოიძია, უბრალოდ თვენთიეიჯერების ფოტო დადო.

ჰოდა, გამოწვევა გამოწვევაა, მაგრამ რადგან ძველ ფოტოებში აქ და ამ წუთში უკეთესს მაინც ვერაფერს მივაგნებდი, ერთი მრავალგზის გამოყენებული ფოტოთი უნდა გამოვეხმაურო ფეისბუქ-ტრენდს. მე მგონი, ამ ფოტოში ზუსტად არ ვარ 21 წლისა, მაგრამ სადღაც თინეიჯერ-თვენთიეიჯერობის ზღვარზე უნდა მქონდეს გადაღებული.

ჰოდა, თითქოს ამ გამოწვევის მოლოდინი მქონდაო, სწორედ გუშინ დავიწყე ერთი ახალი ციკლი ფეისბუქზე – **„ერთი ფოტოს ისტორია"**. მრავალი საინტერესო ფოტო მაქვს – ჩემი თუ სხვისი, – რომლებსაც თავისი არანაკლებ საინტერესო ისტორიებიც ახლავს.

ჰოდა, რას წარმოვიდგენდი, რომ ახალი ციკლის მეორე გამოშვებაში, ალბერტ აინშტაინისა და ჩარლი ჩაპლინის შემდეგ, მოულოდნელად სწორედ ჩემს ფოტოზე მომიხდებოდა ამბების მოყოლა. არადა, ნიკო ნიკოლაძისა და ოლგა გურამიშვილის ერთი მშვენიერი ფოტოს ისტორია მქონდა სამეორეპოსტოდ შერჩეული.

ჰოდა, ეს ფოტო ჩემმა დეიდაშვილმა – **გივი ნახუცრიშვილმა** გადამიღო თავის სახლში, თხინვალის, დღეს ზალიკო ქიქოძის ქუჩაზე, სწორედ იმ ქუჩაზე, სადაც წლების მერე **იური მეჩითოვი სერგო ფარაჯანოვის** იმ ცნობილ ფოტოს გადაიღებს, ძეგლადაც რომ იქცა.

ჰოდა, მესამე თუ მეოთხე კურსზე ვიყავი უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკაზე. მაშინ წვერს, მით უმეტეს ჩემს ასაკში, როგორც წესი, არავინ ატარებდა. არც ჩეხური ბოტასებით დადიოდა ვინმე ჩემსავით ქუჩაში. ბოტასები, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ ფოტოში არ ჩანს. კათედრის გამგემ, პროფესორმა **დათიკო გამეზარდაშვილმა** პირდაპირ მითხრა – გამოცდაზე არ დაგიშვებ, თუ მაგ წვერს არ გაიპარსავ და მაგ კედებს არ გაიხდიო. ნიკო ნიკოლაძის ცხოვრება-შემოქმედების საუკეთესო მცოდნე, ბოტასებს კედებს ეძახდა. ნიკო ნიკოლაძემ ბევრი რამ კი შემოიტანა საქართველოში – ველოსიპედიდან დაწყებული, უნიტაზით დამთავრებული, ან პირიქით, მაგრამ ბოტასების შემოტანა ვერ მოასწრო.

ჰოდა, ერთი-ორჯერ კი გავიბრძოლე, მაგრამ სად იყო დღეს რომ სტუდენტებს აქვს, იმხელა უფლებები – დათიკო გამეზარდაშვილს ვინ მოერეოდა, თუნდაც საქმე შენ საკუთარ წვერს არ გასცდენოდა! სხვა გზა არ დამიტოვა, წვერი გავიპარსე, მაგრამ ბოტასების საქმე უფრო რთულად იყო – ფეხსაცმელი არ მქონდა. ოჯახის მთელი საჩემფეხსაცმელო რესურსი იმ ბოტასებში მქონდა ჩადებული. აქეთ მოვდექი, იქით მივდექი, – მერე როგორღაც რაღაც ვიშოვე და გამოცდები ჩავაბარე.

ჰოდა, ბოტასები მერეც ხშირად მეცვა, უკვე არაჩეხურები, ნამდვილები და კიდევ უფრო ნამდვილები. მერე ეს „ბოტასები" ისე შემოვიდა და ისე დამკვიდრდა ყოველდღიურ მოდაში, რომ დღეს სტუდენტებსა თუ მათ პროფესორებს, ან ლილოს ბაზრობაზე მყიდველ-გამყიდველს სულ ბოტასები, ადიდასები, პუმები, ნაიკები და სხვა ასეთები აცვიათ – ნამდვილები თუ ჩინურები. ახლა ფეხსაცმელი რომ გეცვას, რომელიმე კათედრის გამგემ შეიძლება გამოცდაზე არც დაგიშვას!



ჰოდა, წვერს რაც შეეხება, უნივერსიტეტი კარგა ხნის დამთავრებული მქონდა, რომ მეორედ მოვუშვი და, რაკი გამოცდები აღარ მქონია ჩასაბარებელი, დღემდე არ გამიპარსია. აგერ უკვე თითქმის ოთხი ათეული წელია.

## 18 თებერვალი, 2024

### სიზმარისა და ცხადისა

**ელგუჯა ბერიშვილმა** მთხოვა ორიოდე თვის წინათ, გაისად **ნუგზარ შატაიძეს** 80 წელი უსრულდება, წიგნს ვამზადებთ და რაიმე მოგონებას ხომ არ დაგვიწეროო.

ბევრი ვიფიქრე, რა და როგორ მომეგონებინა ნუგზართან მრავალწლიანი ურთიერთობიდან, ზოგიერთი მისი მოთხრობაც თავიდან წავიკითხე, რამდენიმე საინტერესო ეპიზოდიც შევიგულე. ჰოდა, გუშინ, საღამო ხანს, როგორც იქნა, დავიწყე წერა და მეორე თუ მესამე ფრაზაზე გამახსენდა, რომ სულ თავიდან ნუგზარი მის ახალ სამსახურში ვნახე – გაზეთ „ლელოში", მისთვის პირველსავე დღეს. მერე რატომღაც მის სპორტულ კვალს გავყევი და უკვე საღამოს, ნუგზარის სპორტული წიგნები გადმოვიღე თაროდან – **ლევან თედიაშვილზე, შოთა ჩოჩიშვილზე,**

გიორგი ასანიძეზე, რომლებიც თავის დროზე სწორედ ელგუჯა ბერიშვილის თხოვნით დაიწერა. ამათგან „ლევან თედიაშვილი“ განსაკუთრებით მომწონს. არა მარტო იმიტომ, რომ ლევანთან მრავალწლიანი მეგობრობა მაკავშირებს. მე თუ მკითხავთ, ნუგზარის ეს წიგნი არაფრით ჩამოუვარდება მის საუკეთესო მოთხრობებს. თითქოს უკვე ვიცოდი რა და როგორ უნდა დამეწერა წიგნისთვის, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო და საქმე სადღეისოდ გადმოვდე.

სიზმარში ექიმთან ვიყავი. დანტისტთან. თეთრი ხალათი მახსოვს და მისი ექოსავით ხმა: არაო, ოქროს კბილების ამბავი მე არ ვიციო, მით უმეტეს წინა კბილისაო, ჯერ სხვა ექიმთან უნდა წახვიდეო. სინამდვილეში არავითარი ოქროს კბილი არ მაქვს, არც წინა და არც უკანა, მაგრამ სიზმარი იყო და, წავედი იმ სხვა ექიმთან. რა და როგორ გამიკეთა, არ მახსოვს, მაგრამ უკან რომ მოვბრუნდი იმ პირველთან, აღმოჩნდა, რომ წინა ოქროს კბილი გადაეხერხა და ვერა და ვერ გავიგეთ მე და იმ პირველმა, რაში დასჭირდა კბილის გადახერხვა. სიზმარი კი იყო, მაგრამ სრულიად რეალური ეჭვი გამიჩნდა, რომ ოქროს დახარბდა და იმად გადამიხერხა კბილი.

უსიამოვნო გრძნობით გამეღვიძა. თან კბილებს ვიხეხავდი და თან წყალს სიზმარს ვუყვებოდი – ვიცი, რომ ცუდია სიზმარში კბილების, მით უმეტეს წინა კბილების ცვენა, ამოღება თუ გადახერხვა. ნუგზარ შატაიძის წიგნი ლევან თედიაშვილზე თავთით მედო, მოვკიდე ხელი და კომპიუტერს მივუჯექი, იმის იმედით, ტექსტის წერისას სიზმრის ამბავი დამავიწყდება-მეთქი.

ამ დროს ელგუჯა ბერიშვილი მირეკავს და მეუბნება, – ალბათ ჯერ არ იცი, ლევან თედიაშვილი გარდაიცვალაო.

## 22 თებერვალი, 2024

### ჰოდა, არავითარი პოლიტიკა, მხოლოდ იგავ-არაკები

**ჰოდა**, გთხოვთ, არავინ ამ პოსტში პოლიტიკა არ იგულისხმოთ და არ გაურიოთ, მაგრამ, ღმერთი-რჯული ჩვენისთანა პოეტური, ლიტერატურული და ენათმეცნიერული პარლამენტი მართლა იშვიათია. მაშინაც კი, როცა საქართველოს პარლამენტში სპორტსმენებზე მეტი პოეტი და ფილოლოგი იყო, ამისთანა ლიტერატურულ-ენათმეცნიერული სულისკვეთება, 22 თებერვალს რომ დატრიალდა აქ, ასე კონცენტრირებულად არ მახსენდება.

ჰოდა, აქეთ აფორიზმები და ანდაზები – მელას რაც ესიზმრება, ის ელანდებაო, იქით – დოკუმენტური პროზა და პოეზია – ცეცხლოვანი მუსტანგები და სხვა მსგავსი მეტაფორები... ერთმა მართლა კარგმა ლიტერატორმა დეპუტატმა – სულხან-საბა გაიხსენა თავისი ლექსიკონით და ქვეზუდანით, მეორემ – აკაკის „გინდ შეიტანე და გინდ გამოიტანეთ ეგ თქვენი რუმბივით გაგორებული ფალავანიო“, მესამემ კი სულაც დავით აღმაშენებლის ჭკუის სასწავლი სიტყვები გაგვახსენა – **არცა კირჩხიბი მართლად არა ვალს, არც ძაღლის კუდი განიმართების...**

ჰოდა, სხვაც ალბათ ბევრი იქნებოდა ასეთი, მე მხოლოდ ახალი ამბები ვნახე რამდენიმე სხვადასხვა არხით.

ჰოდა, ჩემს მეგობარ მეგრელებს და სვანებს ვთხოვ, მომეხმარონ და ეს ჩემი პოსტი მეგრულად და სვანურად თარგმნონ თავიანთ კომენტარებში. მერე რა, რომ აქ სულხან-საბას ლექსიკონზე მეტად მისი იგავ-არაკები უფრო გამოგვადგება.

## 11 მარტი, 2024

### ჰოდა, ქუჩის ბუკინისტი საკუთარ ჭერქვეშ

**ჰოდა**, სათაურის ეს, ერთი შეხედვით, ოქსიმორონი ამ შემთხვევაში სულაც არ გახლავთ ასეთი. თურმე შეიძლება ქუჩის ბუკინისტიც იყო და წიგნის მოყვარულებს საკუთარ ჭერქვეშაც ეპატიჟებოდე.

ჰოდა, ვისაც ბოლო მეოთხედი საუკუნეა მარჯანიშვილის მეტროსთან გაუვლია, იმის მიუხედავად, უყვარს თუ არა წიგნი, ან არის თუ არა მისი მყიდველი, გორებად ახვავებული წიგნის დახლები არ დაენახა, ყოვლად შეუძლებელია.




ჰოდა წიგნის ძველმა მოყვარულებმა იციან, რომ ეს დახლები და წიგნების მთები თბილისის ერთ-ერთი პირველი ქუჩის ბუკინისტის **თენგიზ თაქთაქიშვილის** ბიზნესია. ხოლო კიდევ უფრო ძველებს სრულიად ახალგაზრდა თენგოც გვახსოვს, მისი წიგნებიც წაგვიკითხავს, სრულიად უსასყიდლოდ რომ შემოგვთავაზებდა ხოლმე – სახალხო-ფილოსოფიური ბროშურები, დროის სატკივარზე აღძრული კითხვებით. „ვვარგივართ თუ არა ქართველები“ – დღემდე მახსოვს მისი ერთ-ერთი წიგნის სათაური.

ჰოდა, უცნაური კაცია თენგო. უცნაური მსჯელობა იცის. ისეთ უცნაურ დროს გამოურევს რომელიმე ავტორის ციტატას, რომ თვითონ ციტატის ავტორსაც გაუკვირდებოდა. თბილისელი ბუკინისტები, საერთოდ გამორჩეულები არიან იმით, რომ წიგნებს არა მარტო ყიდულობენ და ყიდიან, არამედ კითხულობენ კიდეც. ნებისმიერ ამინდში კითხულობენ.

ჰოდა, წარმოიდგინეთ, ზამთრის გაყინული დღე, როცა წიგნის კი არა, ადამიანი სითბოსა და პურის ძებნაშია და ამ დროს მარჯანიშვილის მეტროსთან ვეება პალტოში გახვეული მძიმე წონის სათვალიანი მოჭიდავე ზის, თავზე განუყრელი ყურებიანი ქუდი ახურავს და მკერდზე დიდი მუყაო ჰკიდია წარწერით – „ქუჩის ბუკინისტი“ და გაიშვიათებული მკითხველის მოლოდინში წიგნს კითხულობს. ვინ იცის, რომ შეკრიბო რამდენი წელი აქვს გატარებული ქუჩის ბუკინისტს ქუჩაში! არ ვიცი, იქნებ ვინმემ ქუჩის ბუკინისტის შედარებაც მოიწადინოს ქუჩის მუსიკოსთან.

ჰოდა, თავის დროზე სწორედ იმ გაყინულ სიტუაციაში გადავიღე ქუჩის ბუკინისტი იგივე ბუკ-მუსიკოსი **თენგო თაქთაქიშვილი** და ახლა, ამ პოსტისათვის ბევრი ვეძებე ის ფოტო, მაგრამ ვერსად ვიპოვე ჩემს არეულ-დარეულ არქივში. მინდოდა იმ ფოტოებისთვის დამერთო ამ რამდენიმე დღის წინ რომ გადავიღე და საიდანაც ქუჩის ბუკინისტი სტრიტ-არტისტის კედლიდან მიყურებს.

ჰოდა, მიყურებს სტრიტ ბუკინისტი და ქართულ-ინგლისურად გვეკითხება: „რა არის ადამიანი წიგნის გარეშე?“ თვითონ იცის. ჩვენ გვეკითხება.

ჰოდა, ეს განუყრელ სათვალიანი სტრიტ-თენგო სადღაც რომელიმე კედელზე კი არ ხატია, არამედ სწორედ იმ კედელზე, რომელიც ლიტერატურულ კაფეში შემსვლელთ ეგებება. კაფეს „მოხუცი ბუკინისტის სახლი“ ჰქვია და მოხუცი ბუკინისტი ქუჩაშივე გისვამს იმ კითხვას. ლიტერატურული კაფე თაქთაქიშვილებისაა: თენგოს შვილს, ცოტნე თაქთაქიშვილს, რომელიც ბავშვობიდან წიგნების გარემოცვაში გაიზარდა, მარჯანიშვილის მეტროს წინ ქუჩის ბიზნესიც შეუნარჩუნებია და ეს ლიტერატურული კაფეც გაუხსნია მხატვარ მეუღლესთან ერთად.

ჰოდა, – კარგია, არა? – ქუჩის ბუკინისტი ჭერქვეშ, ლიტერატურულ კაფეში გეპატიჟებათ, კარგად მოწყობილ სივრცეში, სადაც გათბობაც არის, პურიც და ყავაც. სხვა ნუგბარებიც.

სანამ ყავას მოგიტანენ, შეგიძლია წიგნიც აარჩიო. თუ იყიდე, კი ბატონო – ძვირიც არ არის, – თუ არადა, აქვე შეგიძლია წაიკითხო. თენგოს აღარც ასაკი და აღარც ცოტნე აღარ აძლევს უფლებას ქუჩაში დგომისა, დახლთან რომელიღაც დამწყები ბუკინისტი დგას. ის კი არა, თენგო ამ თავისი სახელობის კაფეშიც იშვიათად შემოდის. სამაგიეროდ, აქ მისი ბიზნესის ჭერქვეშა ნაწილი ცარიელი არასოდეს არის. მათ უკვე მთელი სტაფი ემსახურება – ზოგი წიგნებთან ტრიალებს, ზოგი – სამზარეულოში.

ჰოდა, ადრე იქნება თუ გვიან, უნდა ვიპოვო ის ფოტო და „მოხუცი ბუკინისტის სახლს“ ვაჩუქო. ძალიან მოუხდება მის ინტერიერს. ამ ინტერიერს ძალიან მოუხდება აგრეთვე ძველი თბილისის სახელგანთქმული ბუკინისტისა და გამომცემლის **სოსიკო მერკვილაძის** „ცოდნის“ ფოტო. ან შეიძლება არის კიდევაც და მე ვერ შევამჩნიე. სოსიკო მერკვილაძის წიგნების მაღაზია „ცოდნა“ და ქუჩის დახლები მაშინდელი წმინდა გიორგის ქუჩაზე, ქაშვეთთან, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის შემადგენელი ნაწილი იყო. ეს ფოტო ადვილად იძებნება ინტერნეტში და ჩემს პოსტსაც, დიახაც, მოუხდება. მოუხდება ალბათ მის ფეისბუქ-პეიჯსაც.

ჰოდა, ამას წინათ, მოვიარე რა თაქთაქიშვილების ბუკ-ბიზნესის ქუჩის ნაწილი, თენგოს სახელობის ლიტერატურულ კაფეშიც შევედი. ორი თუ სამი დღით ადრე ინტერნეტით რამდენიმე წიგნი შევუკვეთე და უნდა წამეღო. კაფე ქუჩის დახლებიდან შორს კი არ არის, იქვეა – დავით აღმაშენებლის 95-ში. შეხვალ თაღში და მერე – მარჯვნივ, სადაც ლამაზად მოსაჯდომ მაგიდებს დაინახავ. კაფეს თენგოს ვეება სათვალიანი სტრიტ-იმიჯით იცნობ. ცოტნე შემეგება. ყავა მაინც დავლიოთო. იმ დღეს შვილიშვილთან ერთად ვიყავი და შინ გველოდნენ. მაგრამ ახლა ვიცი, რომ აქ ხშირად შევივლი. ეს მშვენიერი ადგილია ყავის დასალევად, დასასვენებლად, ლიტერატურული საქმიანი შეხვედრებისათვის, წიგნის შესაძენად, ბოლოს და ბოლოს. ახლა ხალხი წიგნებს უფრო ხშირად ყიდის, ვიდრე ყიდულობს, მე კი ჯერ ისევ ვყიდულობ წიგნებს, – ხოლო თაქთაქიშვილებთან ხშირად აქვთ ისეთი წიგნი, წლობით რომ ეძებს ადამიანი. შენ მიირთმევ ყავას, ამასობაში იმ იშვიათ წიგნსაც მოგართმევენ და...

ჰოდა, მართლაც, რა არის ადამიანი წიგნის გარეშე? უპასუხეთ თენგოსა! და საკუთარ თავსაც უპასუხეთ!..

(გაგრძელება იქნება)

# 2024 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რესტავრატორებმა მრავალი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი აღადგინეს!



**2024 წელს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მრავალი გამოცემა აღდგა და ყდაში ჩაისვა. ამის შესახებ თავად ბიბლიოთეკა ავრცელებს ინფორმაციას.**

ეროვნული ბიბლიოთეკის კონსერვაციისა და რესტავრაციის განყოფილების მიერ გასულ წელს გაწეული სამუშაო ასე გამოიყურება:

აღდგა და ყდაში ჩაისვა 2 131 წიგნი (სულ 20 481 ფურცელი), მათ შორის 356 რარიტეტული გამოცემა; აიკინძა და ყდაში ჩაისვა 2 573 პერიოდული გამოცემა (სულ 5 296 ჟურნალისა და 7 303 გაზეთის ფურცელი); დამზადდა 1486 მიკროკლიმატური კონტეინერი; გაიწმინდა და დეზინფექცია ჩაუტარდა 3677 საბიბლიოთეკო ერთეულს; რესტავრაცია ჩაუტარდა 21 პლაკატსა და 9 რუკას.



2024 წელს განყოფილებამ სამი მნიშვნელოვანი სიახლე დანერგა თავის პრაქტიკაში:

1. პირველად მოხერხდა ძველი ლითონის საკეტის აღდგენა მცირე შემორჩენილი ფრაგმენტის საფუძველზე 1791 წელს ერეკლე მეორის სტამბაში გამოცემული „ჟამნის“ აღდგენისას; 2. ახალი ტექნოლოგია გამოვიყენეთ ოქროს სითხით „ვეფხისტყაოსნის“ მოოქროვილყდიანი გამოცემის აღდგენისას, რის შედეგადაც იშვიათ გამოცემას პირვანდელი სახე დაუბრუნდა; 3. პირველად დამზადდა აღმოსავლური ყდა და აღდგა ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცული არაბული ხელნაწერი.

აღდგა პერიოდული გამოცემების მუზეუმის ფონდის 300-მდე ცალი. ყველაზე მეტად გაზეთები ცვდება, ამდენად, აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ ფონდის დაუყოვნებლივ დამუშავება.

XIX-XX საუკუნეების გამოცემებს ჩაუტარდა კონსერვაცია-რესტავრაცია, რამაც მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაზარდა.

აღდგა XX საუკუნის დასაწყისში ცნობილი ქართველი მხატვრების მიერ ილუსტრირებული თხელყდიანი წიგნები, რომლებიც განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენენ მოდერნისტული სტილის გაფორმების გამო.

კონსერვაციისა და რესტავრაციის განყოფილების ახალი ლაბორატორია 2025 წელსაც არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემის რესტავრაციას გეგმავს. წარმატებები მათ.



**30 წლის ქუთაისელი ბომბარდირი ბუდუ ზივზივაძე ახალ სეზონს ბუნდესლიგის ჰაიდენჰაიმთან 2029 წლამდე დადებული კონტრაქტით შეხვდა და ახალ კლუბში დებიუტი 11 იანვარს ბერლინის უნიონთან მატჩში ექნება.** მან მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი ლიდერი კარლსრუე 12 შეხვედრაში გატანილი 12 გოლით დატოვა, სამხრეთ გერმანული მხარის-ბადენ ვიურტემბერგის გუნდს კი ელიტაში ადგილის შენარჩუნებაში უნდა დაეხმაროს, რადგან ჯერჯერობით იგი ცხრილში ბოლოდან მესამეა.

50-ათასიანი ქალაქის 15-ათასიანი სტადიონია ფოიტ-არენა, იქაურებს კი **ფრანკ შმიდტი** წვრთნის. შეგახსენებთ, რომ ბუდუმ კარიერა თბილისის დინამოში დაიწყო, ხოლო შემდეგ ქუთაისის ტორპედოში, სამტრედიაში, დანიის ესბიერგსა და უნგრულ კლუბებში თამაშობდა. იგი საქართველოს ეროვნული ნაკრების მე-7 წევრია, ვინც ევროპულ ტოპ-ლიგებში ჩაირიცხა.

## საფეხბურთო მოზაიკა

✦ ✦ ✦

**ბუნდესლიგის 2016 წლის საუკეთესო მწვრთნელი დირკ შუსტერი ქუთაისის ტორპედოს თავკაცად დაინიშნა.**

57 წლის გერმანელი სპეციალისტი აქამდე კაიზერსლაუტერნს, აუგსბურგს, აუესა და დარმშტადტს ავარჯიშებდა, რომელიც ელიტაში აღაზევა, ხოლო როგორც ფეხბურთელი მაგდებურგში, კარლსრუეში, კიოლნში, ბრაუნშვაიგსა და თურქულ ანთალიასფორში თამაშობდა.

✦ ✦ ✦

**საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ესპანური ლევანტეს ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ქოჩორაშვილი თურქულ ტრაბზონსფორში გადასვლის ერთ-ერთი კანდიდატია**, მისი კონკურენტი კი ლიონის საყრდენი ნახევარმცველი კორენტენ ტოლისო გახლავთ, ვის კარიერასაც მიუნხენის ბაიერნში გატარებული წლები ამშვენებს.

✦ ✦ ✦

**ამერიკის უმაღლესი სამოქალაქო ჯილდო-თავისუფლების საპრეზიდენტო მედალი შტატების მიმავალმა სახელმწიფოს მეთაურმა ჯო ბაიდენმა ლიონელ მესის გადასცა.**



მისი მფლობელი ხდება ის ნომინანტი, რომელიც განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს აშშ-ის აყვავებაში, მსოფლიოში მშვიდობის დამყარებაში ან სხვა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ, სახელმწიფო თუ კერძო წამოწყებაში.

შეგახსენებთ, რომ დასრულებულ სეზონში ინტერ მაიამის არგენტინელმა ლეგენდამ 22 მატჩში 21 ბურთი გაიტანა და 18 საგოლე გადაცემა შეასრულა.

✦ ✦ ✦

**მარადიულ დილემას-მარადონა თუ მესი-მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი, ლეგენდარული იტალიელი მეკარე დინო ძოფი გამოეხმაურა და უპირატესობა ღმერთის ხელის ავტორს მიანიჭა:** „მესი დიადი მოთამაშეა, უდიადესი კი იყო მარადონა. მარადონა პირველია! მესიმ ბევრი რამ ისწავლა და ის ასევე ძალიან კარგია, მაგრამ ყველა დროის უდიადესი-ეს მარადონაა“!

✦ ✦ ✦

**იტალიის სუპერთასი**. მილანი-ინტერი 3:2
**საფრანგეთის სუპერთასი**. პსჟ-მონაკო 1:0.

✦ ✦ ✦

**73 წლისა გარდაიცვალა ჰოლანდიის ნაკრებისა და ბარსელონას ლეგენდარული ნახევარმცველი იოჰან ნეესკენსი.**

ჩემპიონთა თასის 3-გზის გამარჯვებულს, სამშობლოს 2-გზის ჩემპიონს და ესპანეთის სამეფო თასის მფლობელს ეროვნულ ნაკრებში 79 მატჩი ჰქონდა ჩატარებული და მიხელს-კრუიფის ტოტალური ფეხბურთის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ. სწორედ მან გახსნა ანგარიში გერმანიაში 1974 წლის მუნდიალის ფინალში მასპინძლებთან, მაგრამ...



## ფიცარნაგზე

# რკინის ზეიმი




**თბილისის სასტუმრო ჰუალინგში გამართული ეროვნული თასის გათამაშებითა და ტრადიციული საერთაშორისო ტურნირით კახის თასი ძალოსნობის ფედერაციამ ისტორიული 2024 წლის სპორტული სეზონი გააცილა.**

მასპინძლებთან ერთად ფიცარნაგზე უზბეკი, თურქი, აზერბაიჯანელი და სომეხი გოლიათებიც ვიხილეთ, ხოლო საპატიო სტუმართა ლოჟას საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ატილა ადამფი**, ევროპის ფედერაციის თავკაცი **ანტონიო კონფლიტი**, გამგეობის წევრი **ალექს პადური**, ევროპის ფედერაციის ყოფილი ხელმძღვანელი **ჰასან აკუში** და მძიმე წონაში შარშანდელი სომეხი მსოფლიოს ჩემპიონი **ვარაზდატ ლალაიანი** ამშვენებდნენ.

ამ უკანასკნელმა მოწვევისთვის უღრმესი მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს და განაცხადა: ბატონ **კახი კახიაშვილს** უდიდეს პატივს ვცემთ, როგორც პიროვნებასა და შეუდარებელ ათლეტს. მისი სახელობის ასპარეზობა უმაღლეს დონეზე მიმდინარეობს. ასევე შესანიშნავი ადამიანი და უდიდესი შტანგისტია **ლაშა ტალახაძე**. მან ძალიან ბევრ ძალოსანს მისცა მაგალითი და მოტივაცია, რომ შეჯიბრებებზე ბოლომდე დაიხარჯონ. მოხარული ვიქნები, თუ ჩემი წონის დაუმარცხებელი ტრიუმფატორი ისევ დაუბრუნდება ფიცარნაგს.

**ანტონიო კონფლიტი**: ჩვენს სახეობაში სულ 5 სამ-სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გვყავს და აქედან 2 ქართველი ლეგენდაა: ფედერაციის პრეზიდენტი კახიაშვილი და ტალახაძე. აღსანიშნავია თქვენი ახალგაზრდების შარშანდელი მიღწევაც, რომლებმაც ევროპულ ჩემპიონატებზე 75(!) მედალი მოიხვეჭეს.

### გუნდური ჩათვლა:

საჩხერე (238), თბილისი (237), აჭარა (216) ქულა.

## ევრო — 2026

# გენერალური რეპეტიცია

**ორი მარცხის შემდეგ საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფის დარჩენილ ოთხ შეხვედრას გაზაფხულზე გამართავს, მომავალი შესარჩევი ეტაპის მატჩებისთვის სამზადისს კი ნაახალწლევს კარპატების თასზე მონაწილეობით შეუდგა.**




არსენაშვილის, კბილაშვილისა და რუსტამოვის არყოფნაში გუნდის მწვრთნელმა **ტიტე კალანდაძემ** რუმინეთში ასეთი შემადგენლობა წაიყვანა: ნიქაბაძე, ცინცაძე, აბრამიშვილი, არსენიძე, მელიავა, დიხამინჯია, გავაშელიშვილი, გოგავა, გოგოლაძე, გრიშიკაშვილი, ხელისუფალი, ლაპიაშვილი, ორჯონიკიძე, პატაშური, ცხოვრებაძე.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის ფავორიტ სერბებთან მარცხის-25:35 შემდეგ ჯვაროსნებმა თურქებსაც სძლიეს-32:27 (**ცხოვრებაძემ** 13 ბურთი გაიტანა) მასპინძლებსაც-35:34 და მეორე ადგილი დაიკავეს.

## ორიოდე სიტყვით

### ჭადრაკი

**წინასაახალწლოდ გამოქვეყნებულს ფიდეს განახლებულ ქალ მოჭადრაკეთა რეიტინგში ევროპის 2017 წლის ჩემპიონმა ნანა ძაგნიძემ მე-7 ადგილი შეინარჩუნა, წამყვან ათეულს კი ჩინელ დიდოსტატთა კვარტეტი ლიდერობს.**



### კრივი

**ვეტერანი მოკრივე ლევან გოჭორიშვილი 22-წლიანი(!) პაუზის შემდეგ რინგს დაუბრუნდა და ერევანში WAK ფედერაციის ორგანიზებული საერთაშორისო ტურნირი მოიგო.**

მის უნივერსალურ სპორტულ ბიოგრაფიას ფეხბურთი, ჩოგბურთი, ცურვა, თავისუფალი ჭიდაობა და ტყვიის სროლა ამშვენებს, თუმცა კარიერაში ტრავმებმა გააწამა.



### რაგბი

**ქართული რაგბის კიდევ ერთი აღიარება-პოპულარულმა ბრიტანულმა გამოცემა დეილი მეილმა ბორჯღალოსანთა ლიდერი დავით ნინიაშვილი (ლიონი) 2024 წლის მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა!**



### ოლიმპიზმი

**გუშინ? ბედობა დღეს 103 წლის ასაკში გარდაიცვალა სპორტულ ტანვარჯიშში 1952 და 1956 წლების ოლიმპიური ჩემპიონი აგნეს კელეტი( უნგრეთი).**

ის ყველაზე ასაკოვანი ტრიუმფატორი გახლდათ და პნევმონიის დიაგნოზით მოხვდა ბუდაპეშტის კლინიკაში, მაგრამ მედიცინა ამჯერად უძლური აღმოჩნდა.

დღეს მას 104 წელი შეუსრულდებოდა.



აღსანიშნავია, რომ კელეტის ებრაელთა ოჯახმა მთელი სისასტიკით იწვნია ფაშისტთა ბარბაროსობა – საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპნენ მომავალი ჩემპიონის მამა და უახლოესი ნათესავები.

# HMPV

## როგორ ვრცელდება ვირუსი, რამდენ ხანს გრძელდება და როგორ ხდება დიაგნოსტიკა

**ჩინეთში აღინიშნება რესპირატორული ვირუსის ინფექციების ზრდა, რამაც გამოიწვია საავადმყოფოების გადატვირთვა და ახალი მონიტორინგის ზომების შემოღება.**

ვირუსი, რომელიც ცნობილია როგორც ადამიანის მეტაპნევმოვირუსი (HMPV), განსაკუთრებით გავრცელდა ჩრდილოეთ ჩინეთის პროვინციებში და ბავშვებს შორის.

### რა არის HMPV?

**ადამიანის** მეტაპნევმოვირუსი (HMPV) არის რესპირატორული ვირუსი, რომელიც იწვევს სიმპტომებს, რომლებიც მსგავსია ჩვეულებრივი გაციების და გრიპის. მიუხედავად იმისა, რომ დაავადება, როგორც წესი, მსუბუქია, ის შეიძლება სერიოზულ გართულებებამდე, მაგალითად პნევმონიამდე მიგვიყვანოს, განსაკუთრებით ჩვილებში, ხანდაზმულებსა და იმუნიტეტის შესუსტებულ პირებში.

ვირუსი ახალი არ არის, მაგრამ ყურადღება მიიპყრო შემთხვევების ზრდამ, განსაკუთრებით 14 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩრდილოეთ ჩინეთში.

2001 წელს პირველად იდენტიფიცირებული HMPV არის ერთძაფიანი RNA ვირუსი, რომელიც ვრცელდება რესპირატორული წვეთებით ან დაბინძურებულ ზედაპირებთან კონტაქტით. შემთხვევები ადრე დაფიქსირდა სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის დიდ ბრიტანეთში. მისი სიმპტომებია ხველა, სიცხე, ცხვირის გაჭედვა და დაღლილობა, ხოლო ინკუბაციის პერიოდი 3-დან 6 დღემდე მერყეობს. განსხვავებით COVID-19-ისგან, HMPV-სთვის ვაქცინა ან სპეციფიური ანტივირუსული მკურნალობა არ არსებობს; მკურნალობა ძირითადად სიმპტომების მართვას მოიცავს.

შემთხვევების ზრდა ემთხვევა ცივ ამინდსა და შიდა აქტივობების გაზრდას, რაც რესპირატორული ვირუსების გავრცელებას ხელს უწყობს. ჯანდაცვის ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ ეს ზრდა სეზონური ტენდენციების თანხვედრაშია.

ჩინეთში დაწყებულია საპილოტე პროგრამა უცნობი წარმოშობის






პნევმონიის გამოვლენისა და მონიტორინგისთვის, რაც უზრუნველყოფს ლაბორატორიებსა და ჯანდაცვის სააგენტოებს შემთხვევების უფრო ეფექტურად რეგისტრაციას და მართვას. ამის შესახებ სახელმწიფო ტელეკომპანია CCTV-მ განაცხადა პრესკონფერენციაზე ადმინისტრაციის წარმომადგენლის ციტირებით.

### როგორ გადაეცემა ვირუსი?

HMPV ვრცელდება სხვა რესპირატორული ვირუსების მსგავსად, როგორიცაა RSV და გრიპი. გადაცემა ძირითადად ხდება ინფიცირებული პირების რესპირატორული წვეთებით ან დაბინძურებულ ზედაპირებთან კონტაქტით. HMPV-ს გავრცელების პრევენციისთვის აუცილებელია ხელის კარგი ჰიგიენის დაცვა, რაც მოიცავს ხელების ხშირ დაბანას საპნით და წყლით.

რესპირატორული ეტიკეტი, როგორიცაა პირისა და ცხვირის დაფარვა დაცემინების ან დახველებისას და ნიღბის ტარება, ასევე ხელს უწყობს ვირუსის გავრცელების შეზღუდვას.

### რამდენ ხანს გრძელდება HMPV?

HMPV-ის მსუბუქი შემთხვევები, როგორც წესი, გრძელდება რამდენიმე დღიდან ერთ კვირამდე. მძიმე შემთხვევებში აღდგენის დრო უფრო ხანგრძლივი შეიძლება იყოს. თუმცა, დარჩენილი სიმპტომები, მაგალითად ხველა, შესაძლოა უფრო ხანგრძლივად გაგრძელდეს.

შეუძლია თუ არა HMPV-ს გავრცელება სხვა ქვეყნებში?

ჰონგ-კონგში HMPV-ს რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. მეზობელი ქვეყნები, როგორიცაა კამბოჯა და ტაივანი, სიტუაციას ყურადღებით აკვირდებიან. კამბოჯის გადამდები დაავადებების კონტროლის დეპარტამენტმა HMPV-ს შესახებ გაავრცელა გაფრთხილება, რომელიც ხაზს უსვამს მის მსგავსებას COVID-19-სა და გრიპთან.

ტაივანის დაავადებათა კონტროლის ცენტრმა განაცხადა, რომ ვირუსი განსაკუთრებით საფრთხის შემცველია ბავშვებისთვის, ხანდაზმულებისთვის და იმუნოკომპრომეტირებული პირებისთვის.

მეზობელ ინდოეთში ოფიციალურმა პირებმა 3 შემთხვევა დაადასტურეს, თუმცა განაცხადეს, რომ პანიკის საფუძველი არ არის, რადგან HMPV „ნებისმიერ სხვა რესპირატორულ ვირუსს ჰგავს.“

### როგორ ხდება HMPV-ს დიაგნოსტიკა?

**ადამიანის** მეტაპნევმოვირუსის (HMPV) დიაგნოსტიკა მხოლოდ სიმპტომებზე დაყრდნობით რთულია, რადგან ის მსგავსია სხვა რესპირატორული ინფექციების, როგორიცაა რესპირატორული სინციტიური ვირუსი (RSV) და გრიპი.HMPV-ს დიაგნოსტიკის ოქროს სტანდარტი არის უკუთრანსკრიფციის პოლიმერაზის ჯაჭვური რეაქცია (ღთ-ჰჩღ), რომელიც ვირუსის RNA-ს იდენტიფიცირებას უზრუნველყოფს. თუმცა, ანტიგენის გამოვლენის ტესტები უფრო სწრაფი შედეგების მიღებას იძლევა, მაგრამ ისინი ნაკლებად სპეციფიკურია.

## არდავიწყება

### რაჭის დიდი მოამაგე



სრულიად საქართველოს რაჭის რეგიონის განვითარების ფონდი და რაჭის გადარჩენისა და განვითარების კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რაჭის დიდი მოამაგე, მხარის სამგზის მაჟორიტარი დეპუტატი, ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, უკეთილშობილესი ადამიანი და საზოგადო მოღვაწე

**ნიკო ლეკიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ოთარ კერვალიშვილი,**
საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი;
**ფრიდონ (იაგო) გოგრიჭიანი,**
ბიზნესმენი.

## ძარცვა და მკვლელობა მესტიის მუნიციპალიტეტში

### „ბრალდებულებმა დანაშაულის დაფარვის მიზნით ცხედარი მდინარეში გადააგდეს და მიიმალნენ“.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის, დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, ორი პირი – 1986 წელს დაბადებული რ.პ. და 1992 წელს დაბადებული ბ.ჭ. დააკავეს.**

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 5 იანვარს, ბრალდებულებმა ზუგდიდიდან მესტიაში მიმავალი უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე დააყაჩაღეს, გასტაცეს მობილური ტელეფონები და ერთ-ერთ მათგანს, 1986 წელს დაბადებულ ვ.ს.-ს მიაყენეს ცეცხლნასროლი ჭრილობა და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება.

ბრალდებულებმა დანაშაულის დაფარვის მიზნით ცხედარი მოგვიანებით მდინარეში გადააგდეს და მიიმალნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლები 2 დღის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში ატარებდნენ შესაბამის მოქმედებებს.

საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა, როგორც მესტიის მუნიციპალიტეტში, ასევე, სამეგრელო-ზემო სვანეთის მთელ ტერიტორიაზე, რაშიც ვერტმფრენიც იყო ჩართული.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციამ დანაშაულში ბრალდებული ორივე პირი დააკავა.

სამართალდამცველებმა უცხო ქვეყნის მოქალაქის ვ.ს. ცხედარი მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარე ნაკრაში იპოვეს“.

## ჯერ კიდევ ჩვილობის ასაკში ვლინდება მაღალი ინტელექტი



**რაც უფრო დიდია ბავშვის თავის გარშემოწერილობა, მით უკეთესია მომავალი სამეცნიერო კარიერისთვის.**

ედინბურგის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გააანალიზეს გაერთიანებული სამეფოს 100 ათასი მცხოვრების შესახებ ბრიტანული ბიობანკის მონაცემები. იქ ინახება 37-დან 73 წლამდე ადამიანების სისხლის, შარდისა და ნერწყვის ნახევარ მილიონზე მეტი ნიმუში. გარდა ამისა, ამ ადამიანებმა მიაწოდეს ინფორმაცია დაბადებისას მათი ფიზიკური პარამეტრების, მშობლების, ცხოვრების წესის, აკადემიური მოსწრების, კარიერის და ა.შ. შესახებ.

ანალიზმა აჩვენა, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი დაბადებისას თავის ზომასა და შემდგომ ცხოვრებაში აკადემიურ წარმატებას შორის.

რაც უფრო დიდია თავი, მით უფრო დიდია შანსი იმისა, რომ მის მფლობელს ექნება შესანიშნავი შეფასება სკოლაში მათემატიკაში და კითხვაში და როცა გაიზრდება სამეცნიერო ხარისხი. ნაშრომი გამოქვეყნდა ჟურნალში Molecular Psychiatry.

მკვლევარებმა ასევე გამოავლინეს 17 გენი, რომლებიც ერთდროულად აკონტროლებენ ტვინის მუშაობას და ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას. „კვლევის შედეგები ადასტურებს თეორიას, რომ ბუნებრივად ჯანმრთელ ადამიანებს აქვთ ინტელექტის უფრო მაღალი დონე“, - თქვა კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა სასკია ჰაგენაარსმა.

ახალშობილი ბიჭის თავის გარშემოწერილობა საშუალოდ 36 სანტიმეტრია, გოგოს კი 35 სანტიმეტრი.

ინტელექტი ადამიანის ბუნების ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი და რთული მახასიათებელია. ის მოიცავს უნარებისა და შესაძლებლობების ფართო სპექტრს, მათ შორის ლოგიკურ აზროვნებას, კრეატიულობას, ადაპტირების უნარს და ემოციურ მგრძნობელობას.

მაღალი IQ ყოველთვის არ იძლევა წარმატების გარანტიას, რადგან ემოციური ცნობიერება, ადაპტირება და გუნდური მუშაობა ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ასეთი ადამიანის იმიჯი ხშირად ასოცირდება წარმატებასთან, პროფესიულ მიღწევებთან და გამორჩეულ პიროვნებასთან.

### მაღალი ინტელექტის ნიშნებია:

სწავლისა და თვითგანვითარების უნარი. ამ ინტელექტუალური მიდგომის მქონე ადამიანები ხშირად არიან მოწესრიგებულები და შინაგანად მოტივირებულები.

ანალიზისა და სისტემური აზროვნების უნარი. ჭკვიანი ადამიანები გამოირჩევიან ღრმა ანალიზისა და სისტემური აზროვნების უნარით, რაც მათ საშუალებას აძლევს განიხილონ პრობლემები მრავალმხრივ და სტრუქტურირებულ ჭრილში. მათ აქვთ უნიკალური უნარი, დააკავშირონ ურთიერთობები მოვლენებსა და ფენომენებს შორის, რომლებიც შეიძლება სხვებისთვის დამალული ან გაუგებარი ჩანდეს. ეს ადამიანები მიდრეკილნი არიან ანალიზისადმი ინტეგრირებული მიდგომისკენ, პრობლემის შემადგენელ ნაწილებად დაშლის და თითოეული კომპონენტის დეტალურად შესწავლის უნარისკენ.

ემოციური ცნობიერება და თანაგრძნობა. მათ ესმით თავიანთი ემოციები და შეუძლიათ მათი ეფექტურად მართვა, ასევე ღრმად გრძნობენ და ესმით სხვების ემოციები, რაც ეხმარება კომუნიკაციასა და კონფლიქტების მოგვარებაში.

ყურადღების კონცენტრირებისა და მართვის უნარი. მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანებს შეუძლიათ კონცენტრირება მოახდინონ დავალებაზე, თავიდან აიცილონ ყურადღების გაფანტვა და შეინარჩუნონ ყურადღება გრძელვადიან მიზნებზე. ის ასევე ეხმარება მათ იყვნენ პროდუქტიულები და ადაპტირებულნი ცვლილებების მიმართ.

ახლის შეცნობის მიმართ გახსნილობა და მოქნილი აზროვნება. ეს მოქნილობა ეხმარებათ მოერგონ სწრაფად ცვალებად სამყაროს და მოაგვარონ პრობლემები შემოქმედებითად.



# ტერაქტი თბილისის რეისზე?!

**კიშინეუს აეროპორტში ამანათში ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს სავარაუდოა, რომ ამანათი უკრაინიდან გაიგზავნა და თბილისის რეისზე უნდა მოხვედრილიყო**

**მოლდოვაში კიშინეუს აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურმა ერთ-ერთ ამანათში პულტით მართვად სათამაშო ავტომობილში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინა.**

ადგილზე მობილიზებულმა სპეციალურმა დანაყოფმა ამანათი გააუვნებელყო.

როგორც მოლდავური მედია იუწყება, ამანათი კიშინეუს აეროპორტში უკრაინიდან გაიგზავნა და ის თბილისის რეისზე უნდა მოხვედრილიყო, თუმცა უსაფრთხოების შემოწმების დროს, სამართალდამცველებმა ამანათი საეჭვოდ მიიჩნიეს და გამნაღმველები გამოიძახეს.

აეროპორტში მომხდარ ინციდენტს მოლდოვის სამართალდამცავი უწყება ადასტურებს, თუმცა ოფიციალურ განცხადებაში ამანათის წარმომავლობა და საბოლოო დანიშნულების პუნქტი დაკონკრეტებული არ არის.

ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

# ლოს-ანჯელესში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

**კალიფორნიის შტატის ხელისუფლებამ ქალაქ ლოს-ანჯელესში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. გადაწყვეტილების მიზეზი ტყის ხანძრებია, რომლებმაც ქალაქის დასავლეთ რაიონები მოიცვა.**

ადგილობრივ მცხოვრებთ ევაკუაციის მითითება მისცეს.

კალიფორნიის შტატის გუბერნატორ გევინ ნიუსომის ინფორმაციით, ხანძარმა უკვე გაანადგურა ბევრი შენობა. ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა 200 ათასამდე სახლს და სხვა შენობებს. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, ხანძართან ბრძოლას ძლიერი ქარი ართულებს.

თეთრი სახლის ინფორმაციით, პრეზიდენტ ჯო ბაიდენს მუდმივი კავშირი აქვს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

კალიფორნიის შტატში კლიმატური პირობებით გამოწვეული ხანძრები ხშირი მოვლენაა. მხოლოდ 2024 წელს სხვადასხვა რაიონში 8 ათასზე მეტი ხანძარი იყო, რამაც საერთო ჯამში გაანადგურა დაახლოებით 425 ათასი ჰექტარი.



# ოქროს გლობუსის გამარჯვებულები

**ლოს -ანჯელესში „ოქროს გლობუსის“ 82-ე დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.**

წლის საუკეთესო ფილმად (მიუზიკლი, ან კომედია) **„ემილია პერესი”** დასახელდა, ნომინაციაში: წლის საუკეთესო დრამა **„ბრუტალისტმა“** გაიმარჯვა.

„ოქროს გლობუსი“ დრამატულ ფილმში მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის **ედრიენ ბროუდს** გადასცეს ფილმ „ბრუტალისტში“ შესრულებული როლისთვის.

დრამატულ ფილმში ქალის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის **ფერნანდა ტორესი** დაჯილდოვდა ფილმში: „ჯერ კიდევ აქ ვარ“ შესრულებული როლისთვის.

მიუზიკლსში ან კომედიაში საუკეთესო მსახიობ ქალად **დემი მური** დასახელდა ფილმ „სუბსტანციაში“ განსახიერებული როლისთვის.

მიუზიკლსში ან კომედიაში საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ნომინაციაში კი **სებასტიან სტენმა** გაიმარჯვა ფილმში „განსხვავებული კაცი“ შესრულებული როლისთვის.



დემი მური

საუკეთესო რეჟისორად **ბრედი კორბეტი** დასახელდა, ფილმისთვის „ბრუტალისტი“.

მეორეხარისხოვანი კაცის როლისთვის ჯილდო მიიღო **კირან კალკინმა** ფილმ „ნამდვილ ტკივილში“ განსახიერებული როლისთვის, მეორეხარისხოვანი ქალის როლის შესრულებისთვის კი გამარჯვება **ზოი სალდანმა** მოიპოვა ფილმ „ემილია პერესში“ შესრულებული როლისთვის.

საუკეთესო ანიმაციური ფილმის კატეგორიაში „ოქროს გლობუსი“ ანიმაციურ ფილმს **„ნაკადს”** გადაეცა.



# შავ ზღვაში დელფინები იღუპებიან

**ქერჩის სრუტეში ორი რუსული ტანკერის ჩაძირვისა და შავ ზღვაში მაზუთის ჩაღვრის შემდეგ 30-ზე მეტი დელფინი დაიღუპა.**

ინფორმაციას დელფინების გადარჩენის სამეცნიერო-ეკოლოგიურ ცენტრი ავრცელებს.

„დელფამ“ სულ 61 დაღუპული ვეშაპისებრი დააფიქსირა, საიდანაც 32 დელფინი 15 დეკემბრის შემდეგ დაიღუპა. კერძოდ, გარემოსდამცველები თვლიან, რომ ამ 32 დელფინის დაღუპვა, სავარაუდოდ, მაზუთის ჩაღვრას უკავშირდება, ხოლო დანარჩენი, რომლებსაც “დაზერებული სხეული” აქვთ, მანამდე დაიღუპნენ.

ამასთან, „დელფა“ წერს, რომ ამ პერიოდისთვის, ანუ გამორიყვის სეზონის მიღმა მკვდარ ვეშაპისებრთა ასეთი რაოდენობა ატიპურია. დელფინების უმეტესობა ტანკერების ჩაძირვიდან პირველი 10 დღის განმავლობაში დაიღუპა და ამჟამად ზღვიდან მათი გამორიყვა ხდება. მსხვერპლი, ძირითადად, აზოვის ვეშაპისებრნი არიან, რომლებიც, „დელფას“შეფასებით, ყველაზე მოწყვლადი ბინადრები არიან.

გარემოსდამცველები აღნიშნავენ, რომ ამ დრომდე ცოცხალი დელფინების გამორიყვა არ დაფიქსირებულა. თუმცა, მათი პროგნოზით, უახლოეს მომავალში დაზარალებულ ვეშაპისებრთა რაოდენობა შესაძლოა, ჩვეულებრივზე მეტი იყოს.



# 9 იანვარი გლოვის დღეა

**საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ოკუპირებული გალის რაიონის სოფელ საბერიოში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, რომელსაც ხუთი ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა, 9 იანვარი გლოვის დღედ გამოცხადდა.**

მთავრობის შესაბამისი განკარგულების თანახმად, რომელსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, გლოვის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ტერიტორიაზე, ადმინისტრაციულ შენობებზე სახელმწიფო დროშები დაეშვება.

საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ სამძიმარს უცხადებს ხანძრის შედეგად დაღუპული ბავშვების ოჯახსა და ახლობლებს.

ხანძრის შედეგად დაღუპულებს დღეს, 9 იანვარს, დაკრძალავენ

როგორც ვიუწყებოდით, ოკუპირებულ გალის რაიონის სოფელ საბერიოში ხანძარს ხუთი ბავშვი 5 იანვარს ემსხვერპლა.

# საბურთალოზე 24 წლის ბიჭი დაჭრეს

**გუშინ, ფანასკერტელის ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს - ადგილზე პოლიცია საგამოძიებო მოქმედებებ ჩაატარა.**

ფანასკერტელის ქუჩაზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

როგორც ინტერპრესნიუსს შსს-ს წარმომადგენლებმა ადგილზე უთხრეს, საგამოძიებო ღონისძიებები საცხოვრებელ კორპუსში მომხდარ შემთხვევას ეხება. არსებული ინფორმაციით, დაჭრილია ახალგაზრდა მამაკაცი.

**უცხოური ვალუტის კურსი:**

**აშშ დოლარი - 2.8185; ევრო - 2.9152;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5164;**
**100 რუბლი - 2.6105; თურქული ლირა - 0.0798;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6576;**
**1000 სომხური დრამი - 7.1129.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოროშაბათს, 13 იანვარს**